www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 4 აგვისტო, 2003 წელი. №210 (422)

ფასი 30 თეთრი

## დიდი აფიორა

### თუ საქართველოს მთავრობა არ იტყუება, "ეი-ი-ესს" მრავალი გაუხმაურებელი დეტალის ახსნა მოუწევს

*"ეი-ი-ესი" ირწმუნება, რომ გაყიდა არა "თელასი", არამედ მისი მფლობელი კომპანია "ეი-ი-ეს სილკ როუდი", რომელიც წილებს ყაზახეთსა და უკრაინაშიც ფლობდა. იტყუება თუ არა ამერიკული კორპორაცია? ყოველ შემთხვევაში, თავად ეკიბასტუზის თბოელექტროსადგურის (ასევე, სემიპალატინსკის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის) თანამშრომლები დღემდე ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ სადგური კვლავ "ეი-ი-ესის" საკუთრებაა, "კიევოზლენერგოს" კი "ეი-ი-ესის" აზრევიატურა ჯერ კიდევ ამშვენებს. შედეგად, "ეი-ი-ესის" საიდუმლოებით მოცული პოლიტიკის გამო, პოსტსაბჭოთა სივრცის სამი ქვეყნის მთავრობა, შესაძლოა, გაცურებული დარჩეს.*

მაია ურუშაძე

"თელასის" გაყიდვის გარშემო საუბრის დაწყებიდან დღემდე, საქართველოს მთავრობა არც დაინტერესებულა, თუ როგორ "გააცურა" "ეი-ი-ესმა" უკრაინა და ყაზახეთი. ან გააცურა კი?

საქმე ის არის, რომ "თელასის" გაყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მე-18 პუნქტის მიხედვით, ამერიკულ კომპანიას, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ნებართვის გარეშე, ქართული აქტივების გასხვისების უფლება არ ჰქონდა. შესაბამისად, "ეი-ი-ეს კორპორაციამ" ამ აქტივების მესამე პირისთვის გადაცემის გზა თავისი შვილობილი კომპანიის – "ეი-ი-ეს სილკ როუდის" გაყიდვაში დაინახა.

დღეს კორპორაცია აცხადებს, რომ "ეი-ი-ეს სილკ როუდი" გაყიდულია, მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც "ეი-ი-ეს სილკ როუდი" აქტივებს ფლობდა, ამ გარიგების შესახებ არაფერია ცნობილი.

მაგალითად, "ეი-ი-ეს სილკ როუდის" აქტივების ყველაზე სოლიდური ნაწილი ყაზახეთში იყო განთავსებული. ამ აქტივებში შედიოდა (ან, შედის) შულბინსკის ჰესი (702 მვტ); სოგრინსკის თეცი (301,2 მვტ); უსტ-კამენოგორსკის ჰესი (332 მვტ); უსტ-კამენოგორსკის თეცი (240 მვტ); ეკიბასტუზის თბოსადგური (4 000 მვტ); აღმოსავლეთ ყაზახეთის სადისტრიბუციო კომპანია (291 000 აბონენტი); სემიპალატინსკის სადისტრიბუციო კომპანია (178 513 აბონენტი) და მაიკუბენის ქვანახშირის საბადო. ბუნებრივია, "24 საათი" ყველა ამ კომპანიას ვერ დაუკავშირდა, მაგრამ ორ მათგანთან – ეკიბასტუზის თბოსადგურსა და სემიპალატინსკთან დაკავშირება მაინც მოახერხა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ბიუჯეტის კორექტირების პროექტი უკვე პარლამენტშია

სოფიკო ოხანაშვილი

პარლამენტში დღეს შევიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე მომზადებული "2003 წლის ბიუჯეტის კორექტირების პროექტი". აღნიშნული დოკუმენტი გუშინ სახელმწიფო მინისტრთან გამართულ თათბირზე განიხილეს. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის განცხადებით, დოკუმენტი საბოლოოა, შეთანხმებულია როგორც სავალუტო ფონდთან, ისე ყველა უწყებასთან და მზადაა საკანონმდებლო ორგანოში გადასაგზავნად.

პროექტის მიხედვით, სავალუტო ფონდის მიერ დატოვებულ "სამახსოვრო ჩანაწერებში" მითითებული ხარჯვითი ნაწილის სეკვესტრის პარამეტრი - 95,5 მილიონი ლარი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, 86 მილიონ ლარამდე შემცირდება. ბიუჯეტის დაბალანსების მიზნით მნიშვნელოვნად იზრდება საშემოსავლო ნაწილიც - სსფ-ს მიერ რეკომენდირებული 40 მილიონი ლარის ნაცვლად, შემოსავლების 51 მილიონი ლარით ზრდაა დაგეგმილი. აქედან შვიდი მილიონი ლარი პრივატიზებიდან ამოსაღებ თანხებზე მოდის. საბოლოო ჯამში, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება 137 მილიონი ლარით მოხდება.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის განცხადებით, სეკვესტრი ყველაზე მეტად ძალოვან უწყებებს შეეხება, რომელთა დაფინანსება 18 მილიონი ლარით შემცირდება. განსაკუთრებით ზარალდებიან თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები - რვა მილიონი ლარი თავდაცვის სამინისტროს ჩამოეჭრება, ექვსი მილიონი - შსს-ს. აღსანიშნავია, რომ პრივატიზებიდან დამატებით მიღებული შვიდი მილიონი მთლიანად ძალოვანი უწყებების დაფინანსებას მოხმარდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პასუხისმგებლობა პრეზიდენტს ეკისრება

არჩევნების თემას მიეძღვნა შაბათს "სამართლიანი არჩევნების" ოფისში გამართული პრესკონფერენცია, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ბეიკერის სქემის მოსალოდნელი შეუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა უშუალოდ პრეზიდენტს დააკისრეს.

**"ედუარდ შევარდნაძემ, როგორც ქვეყნის მეთაურმა და ამასთან, ჯეიმს ბეიკერის მეგობარმა, ბეიკერის საარჩევნო სქემით განსაზღვრული ღონისძიებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირადად უნდა აგოს პასუხი"**, - მიაჩნია არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელს ზურაბ ჭიაბერაშვილს.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ცესკო-ს დაკომპლექტების წესზე ატეხილი აჟიოტაჟის წყალობით, უკანა პლანზე გადაიწია ისეთმა არანაკლებ მნიშვნელოვანმა საკითხებმა, როგორიცაა საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტება და ამომრჩეველთა სიების დაზუსტება.

"სამართლიანი არჩევნების" მიერ ქუთაისში შინაგან საქმეთა სამინისტროს და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი საარჩევნო უფლებების მქონე პირთა მონაცემების გადამოწმებამ დაადასტურა, რომ ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზაში კვლავაც ათეულობით მისამართშეცვლილი, გარდაცვლილი და არასრულწლოვანი პირია. ასევე, ადგილი აქვს სახელებისა და გვარების გამეორებას, პირადობის მოწმობების არასათანადო მონაცემების მითითებასა და სხვა უზუსტობებს.

*24 საათი*

## ჯომოლუნგმა-2

### ბიძინა გუჯაბიძის დღიურები



*"ალპინდუსტრიის სათავგადასავლო გუნდი"*

ქართველი მთამსვლელის ბიძინა გუჯაბიძის, როგორც 12 კაციანი რუსული ექსპედიციის "ალპინდუსტრიის" წევრის, ევერესტზე ლაშქრობის თითოეულ ნაბიჯს ჩვენი გაზეთი შეძლებისდაგვარად დროულად აშუქებდა. თუმცა, მაშინ საევერესტო პერიპეტიებზე ექსპედიციის ხელმძღვანელის ალექსანდრ აბრამოვის მიერ გამოგზავნილ დღიურებს ვიშველიებდით და, ამასთან, შემოკლებული სახითაც ვაქვეყნებდით.

მოგეხსენებათ, ბიძინა გუჯაბიძემ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, დედამიწის უმაღლესი მწვერვალი – ევერესტი (8848 მ.) მეორედ დაიპყრო. ანუ, გახდა ქართველთაგან პირველი, რომელმაც ჯომოლუნგმას, იგივე საგარმატჰას ორივე მხრიდან – სამხრეთიდან (ნეპალიდან 1999 წელს) და ჩრდილოეთიდან (ტიბეტიდან 2003 წელს) დაპყრობა შეძლო. ერთია, სხვისი თვალით, ამ შემთხვევაში ექსპედიციის ხელმძღვანელის ალექსანდრ აბრამოვის მიერ დანახული ევერესტი და მეორე - ქართველი მთამსვლელის მიერ აღქმული ჰიმალაები. ვაქვეყნებთ ბიძინა გუჯაბიძის მიერ ევერესტზე ლაშქრობისას შექმნილ ჩანაწერებს, დღიურებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ევროსაბჭოც შეშფოთებულია

საქართველოს პარლამენტში გასულ კვირას განვითარებულმა მოვლენებმა, ბეიკერის ვარიანტის ჩავარდნამ და საარჩევნო კოდექსის დამტკიცების ვადების დარღვევამ, კვირის ბოლოს სერიოზული გამოხმაურება ჰპოვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

აგვისტოს ბოლოს შედგება საქართველოში ევროპის საბჭოს მისიის რიგგარეშე ვიზიტი. მონიტორინგის ჯგუფში იქნებიან მატიას იორში და ევგენი კირილოვი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტში. ვიზიტი გამოწვეულია საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს რეკომენდაციების შეუსრულებლობით. მონიტორინგის კომიტეტის 76-მა წევრმა შეშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ საქართველოში ჯერ კიდევ დაკომპლექტებული არ არის ცენტრალური საარჩევნო კომისია, მიღებული არ არის საარჩევნო კოდექსი.

მონიტორინგის კომიტეტის პროგნოზით, საქართველოში ამ დროისათვის შექმნილი ვითარების ფონზე არჩევნები დიდი დარღვევებით ჩატარდება. იმ შემთხვევაში, თუ სექტემბრისათვის ქვეყანაში ვითარება რადიკალურად არ შეიცვლება, მონიტორინგის კომიტეტი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას საკმაოდ კრიტიკულ ანგარიშს წარუდგენს.

## პატრიარქის ქადაგება

*უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საკვირაო ქადაგება სიონის საპატრიარქო ტაძარში ეხმიანება იმ ღია წერილს, რომელიც "24 საათში" გამოქვეყნდა. ამიტომ, გთავაზობთ აღნიშნულ ქადაგებას მცირედი შემოკლებით.*

ჩვენთან არს ღმერთი!

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ადამიანის ცხოვრება რთულია. ეს არის განსაცდელითა და გამოცდილებით სავსე გზა და ბედნიერია ის, ვინც შეძლებს ამ გზაზე მსვლელობისას ნათლად გაარჩიოს, სად არის კეთილი და სად - ბოროტი; სად არის თეთრი და სად - შავი.

ხშირი შემთხვევაა, როცა ბოროტება ინიღბება, ფარავს თავის ნამდვილ სახეს და ცდილობს, კეთილად წარმოჩინდეს. ჯერ კიდევ ძველ საუკუნეებში უთქვამთ ბრძენთ, ყველაფერი იცვლება და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთადო.

კაცობრიობისა და ადამიანების ეს ცვალებადობა გარდუვალია. წარმოიდგინეთ თუნდაც ჩვენი წინაპრები ერთი საუკუნის წინათ, მათი მსჯელობა, ჩაცმულობა, საუბარი - სულ სხვა იყო, ჩვენი სულ სხვაა. დიახ, ცვალებადობა გარდუვალია, მაგრამ სიკეთესა და ჭეშმარიტებას არ უნდა დაშორდეს კაცი.

გაგრძელება A2 გვერდზე

ეკა ქვესიტაძის სვეტი

## ბრძოლა თავისუფალი არჩევანისთვის - ერთადერთი იარაღი უპასუხისმგებლო ხელისუფლების წინააღმდეგ

ის, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა, იმდენად ცინიკურია, რომ ამის დაშვება არა თუ გულუბრყვილო ამერიკელებს, არამედ ქართული ხელისუფლების ზნეობრიობაში კარგად გათვითცნობიერებულ ადამიანსაც გაუჭირდებოდა.

A2

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 34 |
| ქუთაისი | 37 |
| ბათუმი | 36 |
| სოხუმი | 34 |
| ფოთი | 36 |
| თელავი | 33 |
| ზუგდიდი | 37 |
| გორი | 32 |
| ახმეტა | 33 |
| ჭიათურა | 36 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1375 |
| ევრო | 2.3951 |
| გირვანქა სტერლ | 3.4322 |
| რუბლი | 0.0705 |

## მოზდოკის ტერაქტი - მსხვერპლი და გამოძიება

პარასკევს ღამით ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ მოზდოკის სამხედრო ჰოსპიტალში ძლიერი აფეთქება მოხდა, რომლის შედეგად, დაახლოებით, 50 ადამიანი დაიღუპა და 60-ზე მეტი მძიმედ დაშავდა. საავადმყოფოს შენობა მთლიანად დაინგრა. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, აფეთქების დროს შენობაში, დაახლოებით, 115 ადამიანი იმყოფებოდა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი შემთხვევის ადგილზე ვითარების გასარკვევად დაუყოვნებლივ გაემგზავრა.

რუსეთის პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ტერორისტი კამიკაძე ასაფეთქებლით სავსე სატვირთო მანქანა "კამაზით" სამხედრო ჰოსპიტლის ეზოში შეიჭრა და თავი აიფეთქა. მართალია, ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა არავის აუღია, მაგრამ რუსმა სამართალდამცველებმა მაშინვე განაცხადეს, რომ აფეთქება ჩეჩენი ტერორისტების ნახელავია. ამ ჰოსპიტალში, ძირითადად, ჩეჩნეთში დაჭრილი რუსი ჯარისკაცები მკურნალობდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ჰოსპიტალის ნანგრევები მოზდოკში.*

## პოლიტიკური ინტეგრაცია და რელიგიური გათიშულობა

მართალია, ცივი ომი დიდი ხანია დასრულდა და ევროპულმა ინტეგრაციამაც თითქმის მთელი კონტინენტი მოიცვა, ის "რკინის ფარდა", რომელიც ერთმანეთისაგან აცილებდა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს, ადგილიდან არ დაძრულა. განხეთქილება, რომელიც 1054 წლიდან დაიწყო, ისევ ისე ჰყოფს ერთმანეთისაგან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს.

"ევროპაში, რომელიც პოლიტიკური ერთიანობისაკენ მიისწრაფვის, განა შეიძლება ქრისტეს სახლი იყოს განხეთქილების ვაშლი? ეს მართლაც თავისმომჭრელი ამბავია," – წერს რომის პაპი იოანე პავლე მეორე.

ბოლო ათი წლის მანძილზე პაპმა ბევრ მართლმადიდებლურ ქვეყანაში იმოგზაურა, თუმცა ყველაზე დიდი ოცნება – რუსეთში სტუმრობა – მან ჯერაც ვერ აისრულა. რუსეთის ეკლესია ასეთი ვიზიტის კატეგორიული წინააღმდეგია.

ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოება უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები იყო კონტინენტზე ერთიანობის მიღწევის საქმეში. რუსეთიც იძულებული გახდა, ამას შერიგებოდა.

მაგრამ, როგორც ამაში პაპი თავადაც დარწმუნდა, რელიგიური დაპირისპირებების გადალახვა კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა.

თავის ესეში პაპი მიესალმა ევროპაში არსებულ "ახალ რეალობას", რომლის მთავარი ელემენტებიც ერთიანობა და მრავალფეროვნებაა და გამოთქვა იმედი, რომ "დასავლეთი და აღმოსავლეთი გაცვლიდნენ საჩუქრებს თავიანთი სულიერი სიმდიდრეებიდან".

რუსეთის ეკლესია ხმამაღლა გამოთქვამს უკმაყოფილებას დასავლეთის მიერ "გარშემორტყმის" გამო, თუმცა აცხადებს, რომ დიალოგისათვის მზადაა.

მაშინ, როდესაც გაფართოების შედეგად, ევროკავშირში სულ უფრო მეტი მართლმადიდებლური საზოგადოება მოექცა, სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლები ხვდებიან, რომ ევროკავშირის რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებში, ძალიან ხშირად ისინი ერთი და იგივე პოზიციას იკავებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 სპორტი A6 "საოჯახო ტოტო" A8 სხვადასხვა

სვეტი

## ბრძოლა თავისუფალი არჩევანისთვის - ერთადერთი იარაღი უპასუხისმგებლო ხელისუფლების წინააღმდეგ

ეკა კვესიტაძე
ვაშინგტონიდან

დაახლოებით, ორი კვირის წინ სახელმწიფო დეპარტამენტში შეხვედრა მქონდა ევრაზიის ბიუროს უფროსის მოადგილესთან ლინ პასკოსთან (ინტერვიუ "24 საათში" დაიბეჭდა). ინტერვიუს დროს დაჟინებით ვითხოვდი კითხვაზე პასუხს, როგორი იქნებოდა ამერიკის ხელისუფლების რეაქცია, თუ საქართველოს მთავრობა და, პირველ რიგში, პრეზიდენტი მიცემულ პირობას არ შეასრულებდა და "ბეიკერის გეგმას" ჩააგდებდა. ლინ პასკო კი კითხვაზე პირდაპირ პასუხს ერიდებოდა და ასევე დაჟინებით იმეორებდა, რომ პრეზიდენტმა, ისევე როგორც დანარჩენმა პოლიტიკურმა ძალებმა, პირობა დადეს, ვალდებულება აიღეს და ამ ვალდებულებას შეასრულებდნენ.

მას შემდეგ, რაც სახელისუფლებო ძალებმა "ბეიკერის გეგმა" ჩააგდეს, რამდენჯერმე ვესაუბრე სახელმწიფო დეპარტამენტისა და თეთრი სახლის ოფიციალურ პირებს. იმედი, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის და სამშაბათს პარლამენტი შეძლებს, "ბეიკერის გეგმა" მიიღოს, ამერიკის ხელისუფლებაში ჯერ კიდევ აქვთ.

ამერიკელები საკმაოდ გულუბრყვილო ხალხია და ძალიან ხშირად გულწრფელად სჯერათ იმ დანაპირების, რომელსაც ილებენ. თუმცა, ის, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა, იმდენად ცინიკურია, რომ ამის დაშვება არა თუ გულუბრყვილო ამერიკელებს, არამედ ქართული ხელისუფლების ზნეობრიობაში კარგად გათვითცნობიერებულ ადამიანსაც გაუჭირდებოდა.

ყველაფერი, რაც დღეს საქართველოში ხდება - თავისუფალი არჩევნების ბლოკირება, ენერგეტიკის სტრატეგიული ობიექტების რუსეთისათვის გადაცემა, შარაძისა და მკალავიშვილისნაირთა აღზევება - შემთხვევითი დამთხვევა არ არის და ერთი სცენარის ნაწილია, რომლის ყველა კომპონენტი ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული.

როცა ლაპარაკია პროდასავლურობაზე, ის არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მხოლოდ ევროსაბჭოში გაწევრიანებას ან, მითუმეტეს, ამერიკის მხარდაჭერას ერაყის ომში. პროდასავლურობა, პირველ რიგში, დასავლურ ღირებულებებზე ორიენტაციას ნიშნავს. ანუ ორიენტაციას კანონის უზენაესობაზე, კანონის წინაშე თანასწორობაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, სიტყვის თავისუფლებაზე, ქვეყნის მმართველობაში ხალხის თანამონაწილეობაზე და ა. შ. ამ ყველაფერმა დასავლეთის ქვეყნები აყვავებულ საზოგადოებად და მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებად აქცია.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება კი აბსოლუტურად ანტიდასავლურია და, რაც მთავარია, ანტისახელმწიფოებრივია თავისი აზროვნებითა და მოქმედებით.

საინვესტიციო კლიმატის შექმნა და დასავლური კომპანიების მოზიდვა საქართველოში ნიშნავს ძალიან მარტივ რამეს - კანონის უზენაესობას და ჩინოვნიკების არაკორუმპირებულობას ანუ პროგნოზირებად გარემოს ინვესტორისთვის. საქართველოს ხელისუფლების კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ხელს აძლევთ ასეთი საინვესტიციო კლიმატი? - რა თქმა უნდა, არა.

ამიტომაც, ერთმანეთის მიყოლებით ქვეყნიდან გაყარეს ბრიტანული და თურქული ავიაკომპანიები, წავიდა ეი-ი-სი და ბუნებრივია, ამის შემდეგ საქართველოსკენ არც ერთი სოლიდური ინვესტორი ცალი თვალითაც კი აღარ გამოიხედავს.

სამაგიეროდ, ხელისუფლება მისთვის პროგნოზირებად გარემოს იქმნის. შემოჰყავს საქართველოში რუსული კომპანიები, რომელთანაც ბევრი მაღალჩინოსანი პირადი ინტერესით არის დაკავშირებული. საერთოდ, დღევანდელ ხელისუფლებაში მოკალათებული ყოფილი კომკავშირელებისა და ნომენკლატურისათვის გაცილებით უფრო მისაღებია ნაცნობი, რუსული კორუმპირებული გარემო, ვიდრე თავისუფალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი თამაშის წესები.

ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საკუთარი სიცოცხლისუნარიანობის გასაგრძელებლად პირობები შეექმნა, ის მომავალ არჩევნებს ასე ადვილად, საქართველოში ბეიკერის ჩამოსვლის გულისთვის არ დათმობს.

ამ ყველაფერს, რასაც ხელისუფებამ "მიაღწია", ბუნებრივია, სჭირდება იდოლოგიური გამყარება. იდეოლოგები კი ანტიდასავლური პროპაგანდისტების - მკალავიშვილისა და მისი დამცველების სახით მოიძებნა, რომელთაც უნდათ, რომ საზოგადოება ერთ ბნელ, ადვილად მანიპულირებად მასად აქციონ.

რაც შეეხება შევარდნაძეს, ყველანაირი იმედი, რომ ის თავისი პრეზიდენტობის მიწურულს მაინც რაიმე კარგს გააკეთებს ქვეყნისთვის, მხლოდ და მხოლოდ ილუზიაა, რადგან პრეზიდენტი, რომლის ნათესაობა დღევანდელი საქართველოს კლანური საზოგადოების ბურჯს წარმოადგენს, ბუნებრივია, თავისი ოჯახის უსაფრთხოებაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ძველი მეგობარი ბეიკერისადმი მიცემულ პირობაზე.

გასული კვირის ბოლოს სახელმწიფო და ენერგეტიკის მინისტრების ცინიზმმა ნათლად აჩვენა, რომ ეს ხელისუფლება უკვე აღარავის და აღარაფერს უწევს ანგარიშს და, ერთპიროვნულად აკეთებს იმას, რაც მის პირად ინტერესებში შედის და რაც ქვეყნის ინტერესებს პირდაპირ ეწინააღმდეგება.

ჟორბენაძის სახელმწიფო მინისტრობის დროს ბიუჯეტი კატასტროფულად ირღვევა და, რაც მთავარია, ქვეყანამ დაკარგა ყველა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერა და დეფოლტის (გაკოტრების) ძალიან რეალური საშიშროების წინაშე დგას.

მირცხულავას მინისტრობის განმავლობაში ენერგეტიკული სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა და ქვეყნის ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთის ხელში გადადის. მირცხულავამ, რომელსაც ყველა ბრალდებაზე ერთადერთი არგუმენტი აქვს, რომ პატიოსანი ოჯახის შვილია, საჯაროდ და სამაგალითოდ უნდა აგოს პასუხი, ისევე, როგორც ჟორბენაძემ და ხელისუფლების სხვა წევრებმა, პრეზიდენტ შევარდნაძის ჩათვლით, რადგან მათ სრული კატასტროფისა და დამოუკიდებლობის თითქმის ხელახლა დაკარგვამდე მიიყვანეს ქვეყანა.

და თუ დღეს ოპოზიციის ლიდერები ვერ აცნობიერებენ შექმნილი სიტუაციის სიმძიმეს და იმის აუცილებლობას, რომ უნდა გაერთიანდნენ, მაშინ მათი პოლიტიკური უმწიფარობა ნათელია.

თუ დღეს საქართველოში თითოეული ადამიანი ვერ ხვდება, რომ თავისუფალი არჩევნების უფლების მოპოვება, ამერიკელი და ევროპელი ლიბერალების უბრალო ახირება კი არ არის, არამედ ამაზე თითოეული ჩვენგანის მომავალია დამოკიდებული, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოება არ არის მომწიფებული თავისუფლებისთვის.

და თუ ყველაფერ ამას ოპოზიციაც და უბრალო მოქალაქეებიც აცნობიერებენ, მაშინ პასუხი უნდა აგებინონ ხელისუფლებას იმ დანაშაულისათვის, რომელსაც ის საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადის და კონსტიტუციით დაშვებული ნებისმიერი ფორმით უზრუნველყონ თავისუფალი არჩევნების ჩატარება.

## ფხენიანმა ბოლტონს შეურაცხყოფა არ აპატია



ფხენიანმა ჯონ ბოლტონი შავ სიაში შეიყვანა

გუშინ ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფხენიანი ბირთვული პროგრამების შესახებ მოლაპარაკებების გასამართავად მზად არის, მაგრამ აშშ-ს წარმომადგენელ ჯონ ბოლტონთან ერთად ისინი მაგიდასთან არ დასხდებიან.

გასულ კვირას ჯონ ბოლტონმა ჩრდილოეთ კორეაში არსებულ ვითარებას "ჯოჯოხეთური კოშმარი" უწოდა. სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ბოლტონმა კიმ ჩენ ირზე საუბრისას განაცხადა, რომ იგი ტირანია და მეფესავით ცხოვრობს, მაშინ როდესაც, მისი ხალხი შიმშილობს.

ჩრდილოეთ კორეა ამერიკელი დიპლომატის კომენტარებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ქვეყნის ლიდერის შეურაცხყოფას ვერ შეურიგდება. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ინფორმაციით, ფხენიანი ბოლტონს აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლად აღარ განიხილავს.

ამასთანავე, ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ მზად არის საკუთარი ბირთვული პროგრამების განხილვაში, აშშ-სთან და ჩინეთთან ერთად, მეზობელი სახელმწიფოები – იაპონია, სამხრეთ კორეა და რუსეთიც ჩაერთონ. მანამდე ფხენიანი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

# ბიუჯეტის კორექტირების პროექტი უკვე პარლამენტშია

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება შემოსავლების ზრდას, შესასრულებელი გეგმა, ძირითადად, გაეზრდება საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტებს. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით თარხან-მოურავმა შაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საბაჟო დეპარტამენტისთვის გაზრდილი გეგმა არარეალურია. დავით თარხან-მოურავის აზრით, საბაჟო დეპარტამენტის გეგმა ამ ვარიანტით 60 პროცენტითაა გაზრდილი და მის შესრულებას დეპარტამენტი იმ შემთხვევაშიც კი ვერ შეძლებს, თუ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების მიერ კონტრაბანდასთან ბრძოლის შედეგად ბიუჯეტში 7 მილიონი ლარის დამატებითი შემოსავლები იქნება მობილიზებული. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის შეშფოთებას პარამეტრების ზრდის არარეალურობის შესახებ ისაკაძეც იზიარებს. მისი განცხადებით, იგი აპირებს აღნიშნული საკითხი ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე დააყენოს. ისაკაძის აზრით, ფინანსთა სამინისტრო აქცენტს შემოსავლების მობილიზებაზე აკეთებს, თუმცა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ამ ეტაპზე თავი შეიკავა იმის კომენტირებისგან, თუ რამდენად რეალური და შესრულებადია ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროექტი.



ზაალ გულაშვილის ფოტო

გიორგი ისაკაძე საბაჟო შემოსავლების გაზრდილ პარამეტრებს არარეალურად მიიჩნევს.

ფინანსთა სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ეს ახალი პარამეტრები შეთანხმებულია სავალუტო ფონდთან და არანაირ პრობლემას ადგილი არ ექნება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მართალია, დაეთანხმა ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის მიერ შეთავაზებულ საბიუჯეტო ღონისძიებებს, თუმცა, მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწის პაოლო ნოუჰაუსის წერილში ვკითხულობთ, რომ **"შემოთავაზებული პაკეტის ნაწილი შეიცავს ისეთ ღონისძიებებსაც, რომლებსაც საბოლოოდ, გარკვეული დროის შემდეგ, ფისკალური მდგომარეობის შესუსტება შეუძლიათ".**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები 15 აგვისტომდე უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში ფონდის პროგრამის აღდგენასა და ოქტომბერში პარიზის კლუბში ქვეყნის საგარეო ვალების მომსახურების საკითხის დადებითად გადაწყვეტას საფრთხე ემუქრება.

# დიდი აფიორა

პირველი გვერდიდან

**გაირკვა, რომ "ეი-ი-ესის" ყაზახეთის ფილიალებში მათი მეპატრონის - "ეი-ი-ეს სილკ როუდის" გაყიდვის შესახებ არაფერი იციან და ამერიკელი ინვესტორის პატრონაჟის ქვეშ თავს ისევ მშვენივრად გრძნობენ.**

საინტერესოა "ეი-ი-ესის" უკრაინული აქტივების ბედიც: როგორც გაირკვა, "ეი-ი-ეს სილკ როუდის" საიტზე ამ კომპანიის აქტივებად დასახელებული "კიევობლენერგო" (763 000 აბონენტი) და "რივენობლენერგო" (383 000 აბონენტი) უკრაინის ხელისუფლებისგან თავის დროზე არა "სილკ როუდმა", არამედ ვიღაც გაურკვეველი წარმომავლობის "AES Washington Holdings B.V."-მ შეისყიდა, "ეი-ი-ესის" ოფიციალურ საიტზე კი დედა-"ეი-ი-ესის" ამ შვილობილის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ არსებობს.

კიდევ უფრო საინტერესოა "ეი-ი-ესის" მხრიდან უკრაინული აქტივების გასხვისების გარშემო შექმნილი ბურუსი: თურმე 2003 წლის თებერვალში ლუქსემბურგში დაფუძნებულმა კომპანია "ვაკუნა ინტერნეიშენალმა" უკრაინის ანტიმონოპოლიური სამსახურისგან უკრაინული კომპანიების შესყიდვის უფლება მიიღო. როგორც გაირკვა, ეს "ვაკუნა ინტერნეიშენალი" უკრაინაშიც, საქართველოს მსგავსად, არა პირდაპირ, არამედ "AES Washington Holdings B.V."-ს შესყიდვით გეგმავდა უკრაინული აქტივების დაპატრონებას. "ვაკუნა ინტერნეიშენალის" მიღმა კი უკრაინელი ექსპერტები "რაო ეეს როსსიის" ინტერესებს ხედავდნენ. უკრაინაში დღეს აცხადებენ, რომ ეს გარიგება ოფიციალურად არ შემდგარა და დღემდე ეს ორი უმსხვილესი სადისტრიბუციო ქსელი კვლავ "ეი-ი-ესის" განკარგულებაშია. მიუხედავად იმისა, რომ კიევში ენერგეტიკაში ჩახედული მრავალი პირის ვარაუდით, გარიგება მაინც შედგა, მათთვის მაინც უცნობი რჩება, თუ რა გზით მოხერხდა "კიევობლენერგოს" ფასადზე "ეი-ი-ესის" აბრევიატურის შენარჩუნება. თანაც, ეს ორი კომპანია ჯერ ისევ "ეი-ი-ესის" ლოგოიანი ბლანკებით სარგებლობს და ინტერნეტ-საიტებზეც ამ ლოგოს გარეშე არ ფიგურირებს.

ამდენად, იბადება სერიოზული ეჭვი, რომ "ეი-ი-ეს კორპორაციას" "სილკ როუდი" არ გაუყიდია და მან მხოლოდ თავისი ქართული აქტივები: "მტკვარი" (600 მვტ); "ხრამი-1" (113 მვტ); "ხრამი-2" (110 მვტ); "თელასი" (370 000 აბონენტი) გაასხვისა.

**"წარმოიდგინეთ, რა რეზონანსი ექნებოდა, "ეი-ი-ესს" რომ გაეყიდა ყაზახეთის ეკიბასტუზის თბოსადგური, რომელიც 4 000 მეგავატს, ანუ სამ იმდენ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც საქართველოს სჭირდება,** – აცხადებს ასოციაცია "ნავკოს" პრეზიდენტი, ექსპერტი გია ხუხაშვილი, - **ამ დროს კი ამ გარიგებაზე არსად არაფერი თქმულა. ამდენად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ "ეი-ი-ეს სილკ როუდი" არ გაყიდულა, რადგან არავითარი იურიდიული მექანიზმი იმისა, რომ გაყიდვის შემთხვევაში მას ყველა თავისი აქტივი არ მიჰყოლოდა, არ არსებობს."**

მოკლედ, თითქოს, ბნელა. "ეი-ი-ესი" იმდენად ასაიდუმლოებს საკუთარი აქტივების განკარგვის პროცესს, რომ საინვესტიციო ქვეყნების ოფიციალური პირებსაც კი არაფერს ეუბნება. იმ კომპანიისათვის კი, რომელიც აშშ-ს ოფიციოზის სრული მხარდაჭერით სარგებლობს, ასეთი იდუმალება, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

**"აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ "ეი-ი-ესმა" მხოლოდ ქართული აქტივები გაყიდა,"** – მიიჩნევს გია ხუხაშვილი.

იურისტების შეფასებით, ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობას შეუძლია, აამოქმედოს "ეი-ი-ეს სილკ როუდთან" გაფორმებული ხელშეკრულების მე-18 მუხლი და "რაო ეეს როსსიისთან" შემდგარი გარიგება (თუ ის მართლაც უკვე შედგა) ბათილად სცნოს. თუმცა, ამავე იურისტების ვარაუდით, "ეი-ი-ესი" საერთაშორისო სკანდალში ასე იოლად არ გაეხვეოდა და, სავარაუდოდ, მას ქართული აქტივების გაყიდვისათვის აუცილებელი სამთავრობო ნებართვა უკვე ჯიბეში უდევს.

გია ხუხაშვილის შეფასებით, ამ უკანასკნელ მოსაზრებას ისიც ამძაფრებს, რომ მთავრობა "ეი-ი-ესის" მიერ "თელასის" "რაო ეეს როსსიისთვის" მიყიდვას უკვე შემდგარ გარიგებად ნათლავს და წინასწარ აცხადებს, რომ **"ქართული მხარე კორპორაციას პრეტენზიებს ვერ წაუყენებს, რადგან კორპორაციას საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება არ დაურღვევია."** - (საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლეიშვილი).

**"ვფიქრობ, შეგნებულად გვაგუებენ აზრს, რომ ეს გარიგება უკვე შედგა, ყველაფერი დასრულდა, "ეი-ი-ესმა" მართლაც კანონიერი გზა იპოვა "თელასის" გასაყიდად და უკვე არაფერი შეიცვლება,"** – აცხადებს ექსპერტი გია ხუხაშვილი.

**ეშინია თუ არა მთავრობას იმისა, რომ ჩივილის შემთხვევაში, "ეი-ი-ესი" სასამართლოში მის მიერ ოფიციალურად გაცემულ "თელასის" გაყიდვის ნებართვას ცხვირწინ აუფრიალებს? –** ამ კითხვას, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში გაეცემა პასუხი. ყოველ შემთხვევაში, "თელასის" "რაო ეეს როსსიის" საკუთრებაში გადასვლის გამო საქართველოში პოლიტიკური ფონი იმდენად დაიძაბა, რომ ჩანს, თუ საქართველოს მთავრობა ტრადიციულად არ სტყუის, ამერიკულ კომპანიას, ადრე თუ გვიან, საერთაშორისო არბიტრაჟის გზაზე დადგომა და ამ გარიგების მრავალი გაუხმაურებელი დეტალის ახსნა მაინც მოუწევს.

# ნაციონალიზაცია „ნაციონალურად"...

შაბათს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მკვეთრი წინასაარჩევნო განაცხადის გაკეთება გადაწყვიტა – იგი "ნაციონალიზაციის" შესახებ კანონის მიღების ინიციატივით გამოვიდა.

განცხადების დრო ამისათვის ზუსტად გახლდათ შერჩეული - ასეთი ინიციატივა რუსული კომპანია "რუსეთის გაერთიანებული ელექტროსისტემის" მიერ ამერიკული AES-სისაგან "თელასის" აქციების 75-ის შეძენასთან დაკავშირებით სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე გაჟღერდა.

სააკაშვილმა განაცხადა, რომ იურისტები მისი პარტიიდან ამზადებენ კანონპროექტს და იგი უახლოეს მომავალში განსახილველად პარლამენტს წარედგინება.

**"თუ ეს პარლამენტი ამ კანონპროექტს არ მიიღებს, ჩვენ მას დავითხოვთ, ახალს კი კანონის მიღებას ვაიძულებთ",** - განაცხადა მან.

"ნაციონალთა" ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ ლაპარაკია არა მხოლოდ "თელასზე", არამედ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტებზე, რომლებიც "კაპიკებზე" შეიძინეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ახლადგამოჩეკილმა ოლიგარქებმა. **"აუცილებელია ჭიათურის "ფეროს" ნაციონალიზება, რომელიც ავსტრიულმა ფირმამ შეიძინა და რომლის უკანაც დგას საქართველოს პრეზიდენტის ქალიშვილი მანანა შევარდნაძე, აუცილებელია ფოთის პორტის ნაციონალიზება, რომელიც შეიძინა პრეზიდენტის ნათესავების - ახვლედიანების კლანმა; კავშირგაბმულობის სისტემის - რომელიც დეპუტატმა ფრიდონ ინჯიამ მიისაკუთრა და მრავალი სხვა ობიექტის",** - განაცხადა სააკაშვილმა და ხაზი გაუსვა, რომ ნაციონალიზაცია გულისხმობს **"ხალხისათვის იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც მან შექმნა".**

სააკაშვილის ეს განცხადება სრული სერიოზულობით აღიქვეს ხელისუფლებაში და შაბათსვე გაკეთდა კომენტარები ამ საკითხთან დაკავშირებით.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ აკაკი ზოიძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ნაციონალიზაციის დაწყება მას არასერიოზულად მიაჩნია, ვინაიდან მისაღებია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, რასაც დიდი დრო სჭირდება.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის მამუკა ნიკოლეიშვილის თქმით კი, თუ ნაციონალიზაცია დაიწყება, მაშინ სახელმწიფომ კურსი მთლიანად უნდა შეიცვალოს, რასაც **"მთავრობა არ დაუშვებს".**

*24 საათი*

# პატრიარქის ქადაგება

პირველი გვერდიდან

უნდა გვახსოვდეს, რომ ჭეშმარიტება ერთია, ხოლო უზენაესი ჭეშმარიტება არის ღმერთი, რომ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, ყველაფერი გადაგვარდეს, მაგრამ ღვთის განგება და მისი მცნებები ცვლილებებს არ ექვემდებარება.

დღეს ჩვენ ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიუდგეს ადამიანი იმ არაჯანსაღ მოვლენებს, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში აქვს ადგილი. თუნდაც ახალი სექტების, ახალი რელიგიების პრობლემას, ისინი ხომ ასე ინტენსიურად ცდილობენ, შემოიჭრან საქართველოში; თუნდაც ზნეობის საკითხს. სამწუხაროდ, ახლა ისეთი დრო დადგა, როცა უზნეობა ცოდვად აღარ მიაჩნიათ. ისეთი ცოდვები, ვთქვათ, მრუშობა, ქურდობა, მკვლელობა, რა თქმა უნდა, ძველ დროსაც იყო, მაგრამ მაშინ იგი ცოდვად მიაჩნდათ და ადამიანმა იცოდა, რომ ამის გამო მოეკითხებოდა დედამიწაზეც და ცათა შინაც; მაგრამ ახლა ვცხოვრობთ ისეთ დროს, როცა აღრევაა ყველაფრისა, როცა უფროსი და უმცროსი ველარ ცნობენ ერთმანეთს, როცა უმცროსი შეურაცხყოფს როგორც უფროს ადამიანებს, ისე - თავის მშობლებს. ასეთ პირობებში ერთადერთ საყრდენად და ნავთსაყუდელად რჩება ეკლესია - მართლმადიდებელი, ჭეშმარიტი, სამოციქულო ეკლესია. მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ ამ ბოლო დროს არაეკლესიური ადამიანები ცდილობენ, აქაც შფოთი შემოიტანონ. ისეთი პიროვნებანი, რომელნიც არა მარტო არაეკლესიურნი, არამედ ურწმუნონიც კი არიან, რაღაც რეკომენდაციებსა და რჩევებს აძლევენ ეკლესიას პრესის ან ტელევიზიის საშუალებით.

ეს, რა თქმა უნდა, მათი საქმეა, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, საიდან მოდის ეს და ვიცით კიდეც - ამ ადამიანების უკან სხვა ძალა დგას; ისიც ვიცით, რომ ის სხვა ძალა ხშირად უცხოეთიდან იმართება. გული მტკივა, რომ მტერი ძალიან ხშირად თავისი მიზნებისთვის ქართველ ადამიანს იყენებდა. მე მინდა ვუთხრა მათ, ვინც დღეს აკრიტიკებს ეკლესიას - ერთადერთი ეკლესია დარჩა, სადაც რაღაც კეთდება, რაღაც შენდება; ერთადერთი ეკლესია დარჩა, სადაც ყურადღებას უანგაროდ აქცევენ გაჭირვებულ ადამიანებს.

თუნდაც ავიღოთ კარის ეკლესიასთან არსებული სასადილო. იყო ისეთი დრო, როცა იქ დღეში 4 ათასი ადამიანი იკვებებოდა. ეს მაშინ, როცა ქალაქში არც გაზი იყო და არც - დენი. ანუ ამდენი ადამიანი გადარჩა შიმშილით სიკვდილს და დღესაც იქ ყოველდღიურად 300 კაცი დადის, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ამასთან, ჩვენთან შექმნილია მოხუცებულთა და ავადმყოფთა რამდენიმე სავანე. გავიხსენოთ თუნდაც ძეგვის უპატრონო ბავშვთა სახლი, სადაც 150-ზე მეტი ქუჩიდან აყვანილი მოზარდია თავმოყრილი. იქაური პედაგოგების დიდი დამსახურებაა, რომ ისინი არ გახდნენ ნარკომანები, ქურდები და ავაზაკები. განა ფაქტი არ არის, რომ მთელი 2000 წლის მანძილზე ქვეყანაში არასოდეს ყოფილა ერთდროულად იმდენი ეკლესიის მშენებლობა, რაც დღეს ხორციელდება.

როგორი ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ეს ყველაფერი არ დაინახოს, თუმცა მე არ ვიტყვი, რომ ისინი ვერ ხედავენ ამას. უბრალოდ, მათ არ უნდათ, აღიარონ ეს.

მივმართავ სრულიად საქართველოს სამღვდელოებას, რომ მტკიცედ იდგნენ ჭეშმარიტების გზაზე; ზოგიერთი ადამიანი ცდილობს, ჩაითრიოს ისინი პოლიტიკურ დებატებში, ან რაიმე არაეკლესიურ საქმიანობაში, რაც არ უნდა დავუშვათ. ამასთან, სასულიერო პირთ უნდა ახსოვდეთ, რომ ყოველი სერიოზული ნაბიჯი, ყოველი საქმე გააკეთონ მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევით. სადაც არ არის ლოცვა-კურთხევა მღვდელმთავრისა, იქ არ არის მადლი. ეს უნდა იცოდეს სამღვდელოებამ, ეს უნდა იცოდეს მორწმუნე მრევლმა.

ვმადლობთ ღმერთს, მიუხედავად მრავალი განსაცდელისა და პრობლემებისა, საქართველოში ყველაზე ძლიერი მაინც ეკლესიაა; ვმადლობთ უფალს, რომ ძალას გვაძლევს და ეს მადლი ხალხზეც ვრცელდება.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ თქვენ და სრულიად საქართველო! ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გააძლიეროს და გაამთლიანოს საქართველო და საქართველოს ეკლესია, ამინ!

მოკლედ

## ხურცილავას საქმეს ახლა საოლქო სასამართლო განიხილავს

ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობაში მსჯავრდებულ გრიგოლ ხურცილავას საქმეს საოლქო სასამართლო განიხილავს. გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მიერ ხურცილავასთვის გამოტანილი განაჩენი, რომლითაც სასამართლომ იგი განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, საოლქო სასამართლოში მსჯავრდებულის ადვოკატმა და ჟურნალისტის მეუღლემ ცალ-ცალკე გაასაჩივრეს.

ხურცილავას ადვოკატის დავით დადიანის თქმით, იგი განმეორებითი ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვს, რათა გაირკვეს, იყო თუ არა ჩადენილი მკვლელობა აფექტურ მდგომარეობაში. ჟურნალისტ გიორგი სანაიას მეუღლე ხათუნა ჩხაიძე კი სისხლის სამართლის საქმის ძიებაში დაბრუნებას მოითხოვს. როდის გაიმართება ხურცილავას პროცესი საოლქო სასამართლოში, ჯერ გარკვეული არ არის. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს დახმარებით, უახლოეს დღეებში ქვეყნის რეგიონებში რადიაციული დაბინძურების წყაროების ალმოსაჩენად მუშაობას დაიწყებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის მმართველობაში აცხადებენ, რომ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში მზად არის, სამხრეთ ოსეთიდან დევნილების შინ დაბრუნების პროცესში მონაწილეობა მიიღოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძე შექმნილ მდგომარეობასთან შეგუებას არ აპირებს და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხლავას გაუჩინარების მიუხედავად, დღეისთვის, "რაო ეეს"-სა და "ეი-ი-ეს"-ს შორის გაფორმებული შეთანხმების თაობაზე, კომიტეტის სხდომის მოწვევას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ნაციონალური მოძრაობა არ დაუშვებს, ძალაში შევიდეს შევარდნაძე-ნათელაშვილის გარიგება, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის მთელი ენერგოსისტემა, ამერიკელების გაგდებით, რუსეთს ჩააბარონ", – განაცხადა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა და სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა დღეს თბილისის N1 საპყრობილეში ფართომასშტაბიანი სარეჟიმო ღონისძიება ჩაატარეს. ამოღებულია დიდი ოდენობით აკრძალული ნივთები, კერძოდ, 5 სხვადასხვა მარკის მობილური ტელეფონი, 6 დანა, მათ შორის 5 - თვითნაკეთი, სამი ცალი ე.წ "შტირი", 1,5 მეტრიანი რკინის ჯაჭვი, ბანქოს 5 დასტა, 25 ცალი სხვადასხვა ზომის მინის ჭურჭელი და სხვადასხვა ზომის რკინის ნაჭრები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შს სამინისტროში მომავალ კვირას პოლიციელთა ატესტაციის მორიგი ეტაპი გაიმართება. ამჟერად გამოცდებს 50-მდე თანამშრომელი ჩააბარებს. 8 აგვისტოს ატესტაციას შს სამინისტროს შტაბის წევრები გაივლიან, მათ შორის - სამორიგეო, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პრეს-სამსახურების თანამშრომლები. ატესტაცია უკვე 200-მდე პოლიციელმა გაიარა, მათ შორის - იურიდიული სამსახურისა და შს გენერალური ინსპექციის ყველა თანამშრომელმა.

ტესტირების მონაწილეებს, უპირველეს ყოვლისა, "პოლიციის შესახებ" კანონისა და საქართველოს კონსტიტუციის ცოდნა მოეთხოვებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ პოლიციამ დეზერტირობისთვის ძებნილი ძმები - ნუგზარ და ზამირ მაგარლამოვები დმანისში, თავიანთ საცხოვრებელ სახლში დააკავა. მათ ვაზიანში დისლოცირებული მე-11 ბრიგადა 2002 წლის 26 ივნისს მიატოვეს. მაგარლამოვები თბილისში, მე-5 იზოლატორში არიან გადაყვანილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ოზურგეთი.** ენერგოკომპანია "გურიის" გენერალური დირექტორის მამია კალანდარიშვილის კუთვნილი "ნივის" მარკის ავტომანქანა "ვაზ 2121"-ი ოზურგეთის ცენტრში, იოანე პეტრიწის ქუჩიდან გაიტაცეს. თავად კალანდარიშვილი პირადი ანგარიშსწორების მოტივს გამორიცხავს და აცხადებს, რომ მისი "ნივა" ბოლო დროს ოზურგეთში ავტომანქანების ყველაზე "პოპულარულ" გამტაცებელთა მსხვერპლი გახდა.

ადგილობრივ პოლიციელთა თქმით, ავტომანქანის გატაცებასთან დაკავშირებით მათთვის ჯერ ოფიციალურად არავის მიუმართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის სამართალდამცველებმა ლენტეხის რაიონის საგზაო პოლიციის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსი თემურ ლიპარტელიანი უკანონობაში ამხილეს.

მათი მტკიცებით, ლიპარტელიანმა ბელგიიდან ავტომანქანა "მერსედეს ბენცი" შემოიყვანა, ლენტეხის რაიონის საგზაო პოლიციის სარეგისტრაციო განყოფილებაში ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით მანქანა ქუთაისელი ე.წ. "კანონიერი ქურდის" ტარიელ ფოცხვერიას მეუღლის ირინა ასათიანის სახელზე გააფორმა და შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტს 1 570 ლარის მატერიალური ზიანი მიაყენა. ლიპარტელიანი ამჟამად იძებნება. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**ბაქო.** 2 აგვისტოს ბაქოში ოპოზიციის რამდენიმეათასიანი მიტინგი გაიმართა. შეკრებილთა თქმით, ისინი მოითხოვენ, რომ ანკარას ჰოსპიტალში მყოფმა პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა დაამტკიცოს, კვლავ შეუძლია ქვეყნის მართვა თუ - არა. მომიტინგეებმა, აგრეთვე, მოუწოდეს ხელისუფლებას, რომ 15 ოქტომბერს დანიშნული არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად ჩაატარონ. ოქტომბერში დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ჰეიდარ ალიევი და მისი ვაჟი ილჰამიც აპირებენ. **"რადიო თავისუფლება"**

■ ■ ■

**პაკისტანი.** ჩრდილოეთ პაკისტანში აფეთქებების სერიის შედეგად 52 ადამიანი გარდაიცვალა და 150 დაიჭრა. ხელისუფლების ინფორმაციით, აფეთქება გზების გაყვანის დროს მოხდა. ასაფეთქებელი მასალა ადგილობრივ ოჯახებში ინახებოდა, რომლებიც გზის მშენებლობაზე იყვნენ დასაქმებულები. დაშავებულთა უმრავლესობა ქალები და ბავშვები არიან. პოლიციის მტკიცებით, აფეთქება უბედური შემთხვევის შედეგია და ტერორიზმთან რაიმე კავშირი არ აქვს. **"ბი-ბი-სი"**

■ ■ ■

**დუბაი.** გუშინ დუბაიში არსებულმა ტელეკომპანია "ალ-არაბიამ" ნომერ პირველი ტერორისტის უსამა ბინ ლადენის მარჯვენა ხელის, აიმან ალ-ზავაჰირის განცხადების აუდიო ჩანაწერი გაავრცელა. ალ-ზავაჰირი ამერიკელებს ემუქრება, რომ თუ კუბაში გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე ტერორიზმში ეჭვმიტანილებს რაიმე ზიანი მიადგებათ, მაშინ აშშ-ს დიდი საფასურის გადახდა მოუწევს. ტერორისტის განცხადებით, ამერიკის წინააღმდეგ "რეალური ბრძოლა" ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ვაშინგტონს გუანტანამოს ბაზაზე 42 ქვეყანაში დაკავებული, დაახლოებით, 600 ადამიანი ჰყავს დაპატიმრებული. მათი გასამართლება სამხედრო ტრიბუნალზე უახლოეს მომავალში დაიწყება. **"როიტერი"**

■ ■ ■

**ერაყი.** გუშინ სადამ ჰუსეინის ვაჟები უდაი და ქუსაი გარდაცვალებიდან 11 დღის შემდეგ დამარხეს. დასაფლავებას ჰუსეინების ოჯახის 100-ზე მეტი წევრი და უბრალო მოქალაქეები დაესწრნენ. ძმებთან ერთად ქუსაის 14 წლის ვაჟიც დაკრძალეს, რომელიც ამერიკელების სამხედრო ოპერაციის დროს მამასთან და ბიძასთან ერთად დაიღუპა. თითოეული მათგანის კუბოს ერაყის დროშა ჰქონდა გადაფარებული. დასაფლავების დროს შეკრებილმა ხალხმა ამერიკელთა ოკუპაცია დაგმო. "სიკვდილი ამერიკას!" - გაჰყვიროდნენ ისინი. **"ნიუ-იორკ ტაიმსი"**

# პოლიტიკური ინტეგრაცია და რელიგიური გათიშულობა

პირველი გვერდიდან

ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთადერთ კათოლიკურ რესპუბლიკაში, ლიტვაში, კათოლიკები და მართლმადიდებლები მშვენივრად ეწყობიან ერთმანეთს.

"ჩვენ აღტაცებულნი ვართ პაპის სიმამაცითა და ენერგიით," – ამბობს ნიკოლაი მედვედევი, რამდენიმე თვის წინ ვილნიუსში გამართულ "მართლმადიდებელ პარლამენტართა მსოფლიო ასამბლეის" ვიცე-პრეზიდენტი.

"მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, ევროპის კონსტიტუციაში ღმერთის მოხსენიებას მივაღწიოთ და შევაჩეროთ ისეთი უზნეობები, როგორიცაა, მაგალითად, კლონირება," – ამბობს იგი.

ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მშვიდობა, სიღარიბე და გარემოს დაცვა, მართლმადიდებლები და კათოლიკეები იოლად პოულობენ საერთო ენას. ამბობენ, რომ კულისებს მიღმა ორი ეკლესიის წარმომადგენლები დოქტრინალური განსხვავებების გადაჭრას ცდილობენ.



"ევროპაში, რომელიც პოლიტიკური ერთიანობისაკენ მიისწრაფვის, განა შეიძლება ქრისტეს სახლი იყოს განხეთქილების ვაშლი?"

მაგრამ, გასულ აგვისტოში, პაპის მცდელობა, მონღოლეთში ვიზიტისას რამდენიმე საათით შეჩერებულიყო რუსეთში, ჩაიშალა.

საპატრიარქომ ბრალი დასდო ვატიკანს მისი მრევლის გადაბირებაში, და განაცხადა, რომ ის ხატი, რომლის რუსეთისათვის დაბრუნებასაც აპირებდა პაპი, ნაყალბევი იყო.

ყაზანის ღვთისმშობლის ხატი, რუსეთის ერთ-ერთი უმთავრესი სიწმინდე, 1904 წელს მოიპარეს. ამჟამად იგი, სავარაუდოდ, ვატიკანში ინახება.

როგორც კი რუსეთში შეჩერება ჩაიშალა, პაპმა საერთოდ გააუქმა მონღოლეთში ვიზიტი.

დღეისათვის პაპი გაცილებით უფრო ენერგიულად გამოიყურება, ვიდრე რუსეთის ეკლესიის პატრიარქი, ალექსეი, რომელიც მასზე უფრო ახალგაზრდაა, მაგრამ მძიმედ ავადაა.

ამბობენ, რომ მისმა სიკვდილმა, კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის ურთიერთობაში შეიძლება ბევრი რამ შეცვალოს. თუმცა, რომთან ურთიერთობების შესახებ ალექსეის შესაძლო მემკვიდრეებს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები აქვთ.

*როიტერი*

# მოზდოკის ტერაქტი - მსხვერპლი და გამოძიება

პირველი გვერდიდან

რუსეთის საგანგებო საქმეთა სამინისტროს სამხრეთის მიმართულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის გენერალ-მაიორ ნიკოლაი ლიტიუკის ინფორმაციით, აფეთქების ადგილას 8 მეტრის რადიუსისა და სამი მეტრის სიღრმის ორმო გაჩნდა.

რუსი და უცხოელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ ხანებში გახშირებული ტერორისტული აქტები აშკარას ხდის, რომ კრემლის პოლიტიკამ ჩეჩნეთში კრახი განიცადა.

ფედერალურმა მთავრობამ ჩეჩენი მებრძოლებისათვის ამნისტია უკვე სამჯერ გამოაცხადა, რასაც მოლოდინის მიუხედავად, დიდი შედეგი არ მოჰყოლია. რამდენიმე თვის წინ კრემლმა, საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად, რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციაც დაამტკიცა. თუმცა, რეფერენდუმის საბოლოო შედეგში რუს და უცხოელ ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ.

კრემლის უკანასკნელი ინიციატივა ოქტომბერში რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას გულისხმობს, სადაც მონაწილეობას მოსკოვის მხარდამჭერი ჩეჩნები მიიღებენ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება ამბოხებულთა შორის განსაკუთრებით არაპოპულარულია და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ახალი პრეზიდენტის ხელისუფლებას ხალხის დიდი მხარდაჭერა ჰქონდეს.

მოზდოკი ჩრდილოეთ კავკასიაში რუსი სამხედროების მთავარი საყრდენი პუნქტია, საიდანაც ჩეჩნეთში შეტევა ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ორი თვის წინ კამიკაძე ქალმა მოზდოკის მახლობლად ავტობუსში თავი აიფეთქა და 18 ადამიანი მოკლა, რომელთა უმრავლესობა სამხედრო პილოტები იყვნენ.

"გაზეტარუ" სააგენტო "ინტერფაქსზე" დაყრდნობით იუწყება, რომ მოზდოკის აფეთქების დამკვეთი ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაური შამილ ბასაევია.

ჩეჩნეთის საკითხების მინისტრის სტანისლავ ილიასოვის მტკიცებით, ყველა ტერორისტისა და აფეთქების დამკვეთის ვინაობა სამართალდამცველებისათვის ცნობილია. "ეს ის ხალხია, ვინც მოსკოვში, გროზნოში და რუსეთის სხვა ქალაქებში დანაშაულებრივ საქმიანობას ახორციელებს", - აღნიშნა მან "იტარ-ტასისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

"სპეცსამსახურებმა ამ ადამიანების გვარები იციან. ახლა, ჩვენი საერთო ამოცანაა, რომ დამნაშავეები გავანადგუროთ", - განაცხადა მინისტრმა. ილიასოვის თქმით, "ტერაქტების ორგანიზატორები ცდილობენ და იმედოვნებენ, რომ კავკასიაში ვითარების დესტაბილიზაციას მოახდენენ. ამ პროცესში კი, სამწუხაროდ, უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან".

სტანისლავ ილიასოვი დარწმუნებულია, რომ "მთავრობამ არჩეული კურსი არ უნდა შეცვალოს და ჩეჩნეთში ტერორისტებისა და ბანდფორმირებების წინააღმდეგ ზომები უნდა გაამკაცროს".

სამხედრო პროკურატურამ უკვე დააკავა სამედიცინო სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკი არტურ არაკელიანი, რომელსაც ჰოსპიტლის დაცვაზე თვალყურის დევნება ევალებოდა. "წინასწარი გამოძიების თანახმად, მას სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა და გულგრილობა ედება ბრალად", - განაცხადა სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელმა.

ამჟამად, მოზდოკში გენერალური პროკურატურის და საგამოძიებო სამსახურების 33 თანამშრომელი მუშაობს. ადგილობრივი ხელისუფლების მტკიცებით, უახლოეს დღეებში დამნაშავეებს დააკავებენ.

## პრესომბუდსმენი

# მომავალ ორშაბათამდე

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

სამი მოვლენა იკავებდა გასული კვირის განმავლობაში სამამულო მედიის სივრცეს: საქართველოს ენერგეტიკის გარუსება, ბეიკერის ვარიანტის ბედი და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ღია წერილი კათოლიკოს-პატრიარქისადმი. საკითხები მნიშვნელობის კლების მიხედვით დავალაგე: პირველი განსაზღვრავს, თუ ვინ შეუკვეთს მუსიკას საქართველოში, მეორე — ვინ დაუკრავს შეკვეთილ მუსიკას, მესამე — რა ჰანგებს მოგვასმენინებენ მომავალში.

პირველ საკითხზე "24 საათი" სისტემატურად მოგვახსენებდა **მაია ურუშაძის** პირით. ის, რისიც ასე გვეშინოდა, ბოლოს და ბოლოს მოხდა და 1 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული სტატიის სათაურშიც გამოიხატა: *"თელასი" რუსეთის საკუთრებაა*. ახლა სრულიად გასაგებია, ვინც შეუკვეთავს მუსიკას. სტატიაში აშშ-ს საელჩომ მოგვაწვდინა ხმა: **"ჩვენ გვესმის, რომ ეს გადაწყვეტილება კომერციული მიზნებითაა განპირობებული. ის მიუთითებს საქართველოში რთული საინვესტიციო კლიმატის არსებობაზე"**. დიპლომატიურიდან ადამიანურ ენაზე რომ ვთარგმნოთ, საელჩო იმას გვეუბნება, რომ პოლიტიკურ არენაზე დემოკრატიობანას მოთამაშე ჩვენი ხელისუფლება ამავე დროს ეკონომიკის ფეოდალიზაციას ახდენდა.

წლების განმავლობაში ცდილობდნენ შეუძლებლის შეძლებას: თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის მიღწევას ლიბერალური ეკონომიკის გარეშე. ამავე დროს თსუ-ს გამომცემლობა პანტა-პუნტით გამოსცემს "ისტორიული" შინაარსის წიგნებს, რომლებშიც შეიძლება ასეთ ფრაზასაც წავაწყდეთ: "თამარის დროს ადგილობრივი პური გვყოფნიდა, ახლა კი იძულებული ვართ ხორბალი შემოვიტანოთ". ვინც ამ ფრაზაში აბსურდს ვერ ხედავს, ვურჩევ, 30 ივლისის ნომერში **ზურაბ გარაყანიძის** მშვენიერი სტატია წაიკითხოს: *რატომ ძვირდება პური*. დიახ, გლობალიზაციის ნაკადი უკვე ერთხელ და სამუდამოდ შეგვეხო და თუ ამას არ გავაცნობიერებთ, ქართველი ფეოდალი-ჩინოვნიკი სულ უფრო გამდიდრდება, ხოლო ჩვენი ძირძველი, თუ მკლავმაგარი, თუ როგოროც გნებავთ გლეხი, ერთ მშვენიერ დღეს გამოიღვიძებს, თვალებს მოიფშვნეტს, გაოგნებული მიმოიხედავს და იკითხავს: "რაო, ე-ეს როსიაა?".

პარლამენტის პერიპეტიებიც შეთანხმებული იყო ხელისუფლების ეკონომიკურ ქცევასთან (უხეხული გამოთქმაა, მაგრამ იმას, რაც ხდება, პოლიტიკას ვერ დავარქმევ): მუსიკის შემკვეთს ხომ შესაფერისი შემსრულებლები სჭირდება: "აღორძინება", "მრეწველები", "ახალი საქართველოსთვის". ღამისთევას ბერძნულად "პანიხიდას" ეძახიან. ხომ გეცნოთ: რიგგარეშე სესიის 29 ივლისის სხდომა, რომელმაც 30 ივლისის დილის 5 საათამდე გასტანა, ჩვენი ეროვნული თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის ცხედართან ღამისთევას მოასწავებდა. თვით **გიორგი ასანიშვილის** მსუბუქ სტილსაც ტრაგიკული გაფრთხილების ტონი შეეპარა: 1 აგვისტო, *ურემი თუ გადაბრუნდება, გზა აღარ გამოჩნდება*. მაგრამ ბეიკერის ვარიანტის ჩაგდებაზე არანაკლებად ამაზრზენია ხსენებული სამეულის ურცხვობა (31 ივლისი, *აპოკალიფსი პარლამენტში*): **"სიტუაცია უეცრად მეყსეულად შეიცვალა. არაოფიციალურად შექმნილი ალიანსის წევრებს თავზარი დაეცათ, როდესაც სხდომათა დარბაზის ტაბლოს შეხედეს: რეგისტრაცია მხოლოდ 124 დეპუტატმა გაიარა, რაც 118-კაციანი კვორუმის პირობებში კენჭისყრაზე დაყენებული კანონპროექტის ჩასაგდებად განწირვას ნიშნავდა"**. ძალაუფლების დაკარგვის შიში უკვე იმდენად საგრძნობია, რომ სხდომებს აშკარად ეტყობა ტაქტიკური ხერხები, რომლებიც სხვა პირობებში დაფარული უნდა იყოს.

მაშ ასე, მუსიკის დამკვეთი და შემსრულებელი უკვე ვიცით. ახლა რეპერტუარსაც უნდა გავეცნოთ. შესაფერი ეკონომიკური ბაზისი და ხელსაყრელი საარჩევნო კომისია დიდი მონაპოვარია, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის აუცილებელია ბნელი და მორჩილი ამომრჩეველი. კაცმა რომ თქვას, ძნელ მდგომარეობაში თუ ჩავარდა, ასეთ "ბულკზე" არც ოპოზიცია იტყვის უარს...

26 ივლისს "24 საათში" გამოქვეყნებული ღია წერილის ავტორებმა (მე, როგორც ხელისმომწერი, ვაცხადებ, რომ **ზვიად ძიძიგური** ტყუის ან ცდება, როცა წერილის ავტორად დეკანოზ **ბასილ კობახიძეს** ასახელებს — იხ. "24 საათი", 1 აგვისტო) ვიცით, რა უზარმაზარი პოტენციალი აქვს ეკლესიის გავლენას საზოგადოებაზე. ვითხოვთ, რომ ქართველმა ქრისტიანებმა, ჩვენი ერის შვილებმა იგრძნონ, რომ მათაც ეხება წმ. პეტრეს სიტყვები: **"თქვენა ხართ რჩეული მოდგმა, სამეუფო სამღვდელოება, წმიდა ერი, ხალხი წილხვედრი"** (1 პეტრე, 2, 9). დიახ, ნათლისღების ძალით ყველა ქრისტიანი სამეფო სამღვდელო მადლს ატარებს და ნურავინ იფიქრებს, რომ მოციქული მხოლოდ ხელდასხმულებს მიმართავს; ნურავინ აგვიბნევს თავგზას XVIII-XIX საუკუნეების რუსული სინოდალური არაკებით, თითქოს სინოდი და საპატრიარქო, რომელთა არსებობა ეკლესიის შინაგან ბუნებას კი არა, გარეგან ისტორიულ პირობებს ემყარება, მიუწვდომელი უნდა იყოს ერისათვის; ნურავინ შეურაცხყოფს ქართველ სამღვდელოებას ქურუმთა შეუვალ კასტასთან გაიგივებით!

თავგზას კი ვინ გვიბნევს? — ნუღა შევიწუხებთ თავს **შარაძისა** და **ბაღათურიას** ხსენებით: სხვა უფრო საგულისხმოა. 1 აგვისტოს ნომერში **"სარიშვილი-ჭანტურია მთავრობის სახელით აფრთხილებს საეკლესიო პირებს, არ გამოიტანონ სააშკარაოზე ის, რაც საპატრიარქოს შიგნით ხდება, დაიცვან პატრიარქისა და ეკლესიის ინტერესები"**. გასაგებია, 1997 წლის განდგომილ მამათა დამცველ და ედპ-ს მძიმე მდგომარეობის წინაშე მყოფ ქალბატონს მართლაც სჭირდება საპატრიარქოს მხარდაჭერა. ვთარგმნოთ მისი სიტყვები ადამიანურ ენაზე: "საპატრიარქოს შიგნით მართლაც ხდება რაღაც, რამაც შეიძლება შეარცხვინოს ეკლესიას, პატრიარქის ინტერესებში კი ამ საქმეთა გაგრძელებაა". აი, ვინ სცხებს ჩირქს ეკლესიასაც და სამღვდელოებასაც! წერილზე ხელმომწერნი კი ვეუბნებით უწმინდესსა და უნეტარესს, რომ ის მარტო აღარაა და დღეს მის გვერდით ჩვენ ვდგავართ.

საოცარია, რომ პოლიტიკოსთა ეკლესიოლოგიურ უვიცობას "ნაციონალებმაც" მისცეს ბანი. მართალია, მხოლოდ ზვიად ძიძიგურის პირით. როგორც ეტყობა, ის პირველია, ვისაც გამარჯვების შემთხვევაში უგანებენ. ჰოდა, მანამდე გაუშვი, ილაპარაკოს. მოვუსმინოთ: **"ხემლმომწერთა შორის ბევრია ისეთი, მაგალითად, მზექალა შანიძე, ელდარ შენგელაია, ვინც პატრიარქს არაერთხელ შეხვედრია უპრობლემოდ. მაგრამ მგონია, რომ აღნიშნული წერილი მათი დაწერილი არ არის"**. ჩვენი თარგმანი კი შემდეგია: "განათლება უსარგებლოა, ხომ ხედავთ ამათ აწერინებენ ხელს, რაზეც უნდათ, ჰოდა თქვენც გმართავენ, თუნდაც ჩემისთანები, და ამას ვერ წაუხვალთ". და კიდევ: განა პატრიარქთან კერძო შეხვედრის წადილით დაიწერა ეს წერილი? — რას იზამ, უფრო დიდ საზომზე ბ-ნ ძიძიგურს ხელი არ მიუწვდება, ის მხოლოდ ბევრსა და ცოტას არჩევს, თანაც ჰგონია, რომ ბევრი აუცილებლად ბნელია და მის მხარეს უნდა დადგეს.

ახლა უკვე ისიც გაირკვა, რომ მუსიკის შემკვეთი თავის შესაფერ მუსიკოსებს სიბნელისა და მორჩილების ჰანგებს დააკვრევინებს. ჯერ ღმერთი და საპატრიარქო ერევათ ერთმანეთში, მერე კი პურის მაგიერ ქვის ჭამას მოგვთხოვენ. ბრმა პოლიტიკოსს ყოველთვის ბრმა ელექტორატი სჭირდება, რადგან სახარება არ წაუკითხავს: "განა შეიძლება ბრმა წინ უძღოდეს ბრმას? განა ორივენი ორმოში არ ჩაცვივიან?" (ლუკა, 6, 39). მთელი ერის სახელით ლაპარაკს არ ვარ ჩვეული, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ქართველ ხალხს ორმოში ჩაცვენა არ სურს.

P. S. ჩვენი ეროვნული ვოკალური სკოლის აღზრდილმა, **ელისაბედ მარტიროსიანმა** ლუჩანო პავაროტისთან სოლო კონცერტი გამართა. ამას **მადი სერებრიაკოვამ** 29 ივლისს სტატია მიუძღვნა და არა მარტო ინფორმაცია მოგვაწოდა, არამედ ლიზას მიმართ პირადი სითბოც გამოამჟღავნა. ეს იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მავანნი გაღიზიანდნენ. წარმოიშვა ლეგენდა, თითქოს ვილაც ავად გახდა და ლიზაც ბოლო მომენტში "შეტენეს" პავაროტისთან. ხელოვნების თაყვანისმცემლები მინდა დავამშვიდო: ეს ლეგენდა მტკნარი სიცრუეა.


MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

ჩვენი მისია:
ჩვენს მისიას წარმოადგენს მეწარმეებისა და ბიზნესმენებისათვის საუკეთესო ხარისხის მომსახურებისა და მიზნობრივი საბანკო პროდუქტების მთელი ქვეყნის მასშტაბით შეთავაზებით საიმედო და სხვა საბანკო მომსახურების მიმწოდებელი ლიდერი ბანკის პოზიციების დამკვიდრება. ვუზრუნველყოფთ რა ბიზნესს ზრდისათვის აუცილებელი სახსრებით, ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. მოსახლეობას ჩვენ ვთავაზობთ ხელსაყრელ საბანკო მომსახურებას ოპტიმალური პირობებით.

ჩვენ გთავაზობთ:
-სესხებს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის
-მიმდინარე ანგარიშებს
-ვადიან დეპოზიტებს, ზრდად ვადიან ანგარიშებს, შემნახველ ანგარიშებს
-ფულად გადარიცხვებს
-ვაჭრობის დაფინანსებასა და დოკუმენტურ ოპერაციებს
-სავალუტო ოპერაციებს
-ონლაინ ბანკინგს




ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი, 0112 თბილისი, თამარ მეფის გამზ. 18, ტელ: (995 32) 92-16-16, ფაქსი: (995 32) 77-96-11, Email: central@mbg.com.ge
ვაკის განყოფილება, 0179 თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 8, ტელ: (995 32) 25-28-06, ფაქსი: (995 32) 25-28-07, Email: vake@mbg.com.ge
საბურთალოს განყოფილება, 0177 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 46, ტელ: (995 32) 20-17-17, ფაქსი: (995 32) 20-17-18, Email: saburtalo@mbg.com.ge
სადგურის განყოფილება, 0112 თბილისი, სადგურის მოედანი 3/32, ტელ: (995 32) 92-16-16, ფაქსი: (995 32) 77-96-11, Email: stationsquare@mbg.com.ge
დიღმის ფილიალი, 0167 თბილისი, ..., ტელ: (995 32) 57-01-01, ფაქსი: (995 32) 57-10-01, Email: gldani@mbg.com.ge
ვარკეთილის ფილიალი, 0182 თბილისი, ..., ტელ: (995 32) 76-44-82, ფაქსი: (995 32) 76-44-81, Email: varketili@mbg.com.ge
გორის ფილიალი, 1400 გორი, ჭავჭავაძის ქ. 10, ტელ: (995 270) 2-16-09, ფაქსი: (995 32) 33-46-78; 33-46-58, Email: gori@mbg.com.ge
ქუთაისის ფილიალი, 4600 ქუთაისი, თამარ მეფის ქ. 85, ტელ: (995 231) 4-14-14, ფაქსი: (995 231) 4-51-64, Email: kutaisi@mbg.com.ge
ლილოს განყოფილება, 0115 თბილისი, ..., ტელ: (995 32) 77-96-35, ფაქსი: (995 32) 77-96-36, Email: lilo@mbg.com.ge
მარნეულის განყოფილება, 3000 მარნეული, ..., ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50, ფაქსი: (995 32) 94-31-36, Email: marneuli@mbg.com.ge
ქუთაისის განყოფილება, 4600 ქუთაისი, ..., ტელ: (995 231) 4-87-05, Email: kutaisioutlet@mbg.com.ge
ბათუმის ფილიალი, 6000 ბათუმი, ..., ტელ: (995 88 222) 7-24-20, ფაქსი: (995 88 222) 7-19-54, Email: batumi@mbg.com.ge
ფოთის ფილიალი, 4400 ფოთი, ..., ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3, ფაქსი: (995 293) 28-28-4 33-46-58, Email: poti@mbg.com.ge
ზუგდიდის განყოფილება, 2100 ზუგდიდი, ..., ტელ: (995 215) 5-11-23, ფაქსი: (995 32) 93-43-74, Email: zugdidi@mbg.com.ge
ბათუმის განყოფილება, 6000 ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. 10, ტელ: (995 88 222) 7-74-19, ფაქსი: (995 88 222) 7-74-19, Email: batumioutlet@mbg.com.ge
ქობულეთის განყოფილება, 6201 ქობულეთი, ..., ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439, Email: kobuleti@mbg.com.ge


# „კუს ტბის" დაცვის წევრები პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ რჩებიან

*კუს ტბაზე ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომლების მონაწილეობით მომხდარ ჩხუბს, როგორც ცნობილია, შპს "კუს ტბის" დაცვის წევრების დაპატიმრება მოჰყვა. ვაკე-საბურთალოსვე პოლიციის საგამოძიებო განყოფილებაში მათ წინააღმდეგ ხულიგნობის მუხლით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გუშინ კი "კუს ტბის" დაცვის ოთხ თანამშრომელს ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა ნოზაძემ აღმკვეთ ღონისძიებად პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.*

"24 საათი" უკვე წერდა იმ გაუგებრობის შესახებ, რომელიც "კუს ტბის" დაცვის წევრების დაკავებას უძღოდა წინ. საქმე ის გახლავთ, რომ მათსა და პოლიციელთა შორის ამტყდარი ჩხუბის თვითმხილველნი და შპს "კუს ტბის" პრეზიდენტი ბესიკ ხარძიანი ირწმუნებიან, რომ ინციდენტი პოლიციელთა მიზეზით მოხდა, დაცვა კი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ მოვალეობას ასრულებდა. კერძოდ, კუს ტბაზე ასულმა რამდენიმე ნასვამმა პოლიციელმა იქაურ წესებს დამორჩილება არ ისურვა, დაცვის წევრების მხრიდან წესრიგის მოწოდებას კი იარაღის მუქარით უპასუხა. მაშინ დაცვის წევრები იძულებულნი გახდნენ, აუცილებელი თავდაცვისთვის მიემართათ – პოლიციელები განეიარაღებინათ, რა დროსაც ერთ-ერთი მათგანი მსუბუქად დაშავდა.

თავდაპირველად, ვაკე-საბურთალოს პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე, მომხდარი ჩხუბის გამო, სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით აღიძრა, რაც ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ხულიგნობას გულისხმობს, თანაც ხულიგნობის აღმკვეთი პირის მიმართ ჩადენილს.

სხვათა შორის, თავდაპირველად დაკავებული დაცვის ცხრა წევრიდან ორი იმავე დღეს გაათავისუფლეს, თუმცა "კუს ტბის" ადვოკატის დავით ხაჟალიას თქმით, ერთი მათგანი გათავისუფლებამდე სცემეს. დარჩენილი შვიდეულიდან პოლიციამ ბრალი კიდევ სამს ვერ წარუდგინა და, შესაბამისად, ისინი ისე გაათავისუფლეს, რომ სასამართლოსთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება არც მოუთხოვიათ. სამაგიეროდ, "კუს ტბის" დაცვის იმ ოთხი წევრისთვის, რომლებსაც ხულიგნობის მუხლით წარუდგინეს ბრალი, ბრალდების მხარე სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. თუმცა, იმავე ხაჟალიას თქმით, გარდა იმისა, რომ რეალურად დაცვის წევრები დააპატიმრეს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი კერძო საკუთრების ტერიტორიაზე დებოშიორ პოლიციელებს შეეწინააღმდეგნენ, ანუ, პოლიციელთაგან განსხვავებით, საკუთარ მოვალეობას ასრულებდნენ, გამოძიებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მათთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება მოეთხოვა.

**"საამისოდ საჭიროა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საქმეში არ არსებობს. გამოძიებას არ ჰქონდა არც სხვა რაიმე საფუძველი, დაკავებულთა პატიმრობაში დატოვება მოეთხოვა, თუმცა, მაინც დააყენეს ასეთი შუამდგომლობა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. სხვათა შორის, ჩვენ არც მოსამართლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ვეთანხმებით, თუმცა, გასაჩივრებას არ ვაპირებთ. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება გამოძიება და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას დავით ხაჟალიამ.

რა პასუხისმგებლობა დაეკისრებათ წესრიგის დამრღვევ პოლიციელებს, ჯერჯერობით უცნობია – მათ საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია იკვლევს. მათი მოკვლევის დასრულებამდე კი ხულიგნობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში ისინი დაზარალებულებად მოიხსენიებიან.

## მოკლედ

### მერაბ სიორიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ პარლამენტარ ზაზა სიორიძის ძმას - მერაბ სიორიძეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, პატიმრობა შინაპატიმრობით შეუცვალა. იგი საავადმყოფოში ერთთვიან სამკურნალო კურსს გაივლის. სიორიძის ადვოკატის ვახტანგ თალაკვაძის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს მესამე ხარისხის სიმსუქნე აქვს და გული აწუხებს. სამართალდამცველები მერაბ სიორიძეს, 2000 წლის 22 დეკემბრიდან 2001 წლის ნოემბრამდე „ყრუთა საზოგადოების" დირექტორად მუშაობისას, „ყრუთა საზოგადოების" კუთვნილი 246.607 აშშ დოლარის მითვისებაში სდებენ ბრალს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე წელს 18 აპრილს, „ყრუთა საზოგადოების" თავმჯდომარის (სიორიძის შემდეგ დანიშნული) ბატატუნაშვილის განცხადების საფუძველზე აღიძრა.

სიორიძეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 2003 წლის 2 ივნისის დადგენილებით წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა. რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება 9 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა.

*მედია-ნიუსი*

## მოკლედ

### ნინო ბურჯანაძე პროგრამას გამოაქვეყნებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დღეს იმ ძირითად პრინციპებს გამოაქვეყნებს, რომელთა ირგვლივაც თანამოაზრეების გაერთიანებას აპირებს.

საკუთარი პოლიტიკური ხედვის ძირითადი პრინციპების ჩამოსაყალიბებლად ნინო ბურჯანაძე პროფესიონალ ეკონომისტებთან და იურისტებთან ერთი თვის განმავლობაში სისტემატურად მართავდა კონსულტაციებს.

პარლამენტის თავმჯდომარე საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას კატეგორიულად გამორიცხავს და მის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური პრინციპების ირგვლივ პროფესიონალთა ჯგუფების გაერთიანებას გეგმავს.

"ჩემს გარშემო გაერთიანდებიან ის ადამიანები, ვისთვისაც ჩემი პოლიტიკური პრინციპები იქნება მისაღები," - განმარტა პარლამენტის თავმჯდომარემ. **ინტერ-პრესი**

# ჭომოლუნგმა-2

**ბიძინა გუჯაბიძე:** დაიბადა 1959 წლის 17 დეკემბერს. პროფესიით სამთო ინჟინერ-გეოლოგი, სამთო მეგზური, მაშველი, მწვრთნელი. მინიჭებული აქვს წოდება "თოვლის ჯიქი".

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი. მთაში სიარული დაიწყო 1979 წლიდან. არა ერთი ასვლა განუხორციელებია როგორც კავკასიონის, ისე პამირის, ტიან-შანის, ალპების, ჰიმალაების, ალიასკისა და რიგ სხვა მთათა მასივებში. იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდის კაპიტანი, ამავე გუნდის მწვრთნელი და შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონატების არაერთგზის გამარჯვებული და პრიზიორი. მონაწილეობა მიუღია მთის სამაშველო ოპერაციებში. უმუშავია სტიქიურ უბედურებათა და ეთნოკონფლიქტურ კერებში (მიწისძვრა სომხეთში და საქართველოში; ეთნოკონფლიქტები საქართველოში და წითელი ჯვრის სამაშველო სამსახურში).

ოპერატორის რანგში რამდენიმე ფილმის ავტორიცაა - რომლებიც შემდგომში სამთო ფილმების მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე უმაღლესი ჯილდოებითა და პრიზებით იქნა აღნიშნული.

ჰობი - ფოტოგრაფია.

**სასიმაღლო ასვლების ნუსხა:**

მარქსის პიკი (6700 მ.) 1984 წ.
ლენინის პიკი (7135 მ.) 1987 წ.
რევოლუციის პიკი (6795 მ.) 1988 წ.
კორჟენევსკის პიკი (7105 მ.) 1990 წ. 1991 წ. (ორჯერ);
კომუნიზმის პიკი (7495 მ.) 1990 წ. (ორჯერ);
ენგელსის პიკი (6510 მ.) 1991 წ.
ხან-ტენგრი (7010 მ.) 1993 წ. (სამი ასვლა, ამასთან რეკორდულ დროში საბაზოდან; საბაზომდე 15 საათი), 1997 წ. (ორჯერ), 2002 წ. (ორჯერ);
დჰაულაგირი (8167 მ.) 1995 წ.
მაკ-კინლი (6194 მ.) 1996 წ.
მანასლუ (8163 მ.) 1998 წ. (წარუმატებელი ექსპედიცია);
ევერესტი (8848 მ.) 1999 წ. სამხრეთიდან და 2003 წ. ჩრდილოეთიდან;
ლჰოცე მთავარი (8516 მ.) 2000 წ.
გამარჯვების პიკი (7499 მ.) 1997, 2002 წ. (ორჯერ).

მთლიანობაში - 16 შვიდიათასიანი და 4 რვაათასიანი მწვერვალი. ამასთან, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული აქვს მე-5 და მე-6 კატეგორიის სირთულის ტექნიკური ასვლები. გარდა ამისა, განუხორციელებია რამდენიმე რეკორდული ასვლა. მათ შორის - მყინვარწვერზე (ყაზბეგიდან ყაზბეგამდე) 12 საათსა და 20 წუთში. უშბაზე 9 საათში, ხოლო 20 საათში სამი შვიდიათასიანი მწვერვალი – ხან-ტენგრი (ორჯერ) და გამარჯვების პიკი (ერთხელ) დაიპყრო.

აღსანიშნავია, რომ უშბაზე (4710 მ.) და იალბუზზე (5642 მ.) რვაჯერ, ხოლო მყინვარწვერზე (5300 მ.) 47-ჯერ ასულა.

ამჟამად ბიძინა გუჯაბიძე ტიან-შანის გზას ადგას და, სავარაუდოდ, ხან-ტენგრის, ანაც გამარჯვების პიკის ხელმეორედ დაპყრობას გეგმავს.

პირველი გვერდიდან

"ბოლო დროს, ასე თუ ისე, აეწყო საქმე. ხერხემლის ტკივილის მერე ცოტათი მეშინოდა, რომ ძველებურად სიარულს ვერ შევძლებდი. თითქმის, ერთი წელი რეგულარულად ვივარჯიშე ტაი-ჩი, ვცურავდი, ვცოცავდი და, ღვთის წყალობით და მეგობრების დახმარებით, შარშან ტიან-შანზე მოვახერხე წასვლა, ორჯერ მწვერვალი ხანტენგარი (7010 მ.), ერთხელ გამარჯვების პიკი (7439 მ.), სამი 7-ათასიანი ერთ სეზონში, ჩემთვის 1997 წლის რეკორდის გამეორება იყო, ასე რომ, გავცოცხლდი. შემდეგ - ზამთრის უშბა; მართალია, ავარიის გამო, მწვერვალამდე ძალიან ცოტა დაგვრჩა, მაგრამ ისევ ცოცხლები დავრჩით და ბევრი იყო სამუშაოც, ემოციაც, თავგადასავალიც. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა, "хороший альпинист, живой альпинист!"

"რუსთავი 2"-ის, Georgian onlain-ის და "24 საათის" სპონსორობით, გამოჩნდა ევერესტზე წასვლის შანსი, ოღონდ, როგორც ხდება ხოლმე, ბოლო საათებამდე ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი საბოლოოდ გარკვეული. წინასწარ უკვე საკმაო ვალები მქონდა აღებული - პერმიტის, ჟანგბადის, აღჭურვილობის, ავიაბილეთების, მაინც ნერვიულად ვაგრძელებდი ვარჯიშს, მკურნალობას. წასვლამდე ერთი კვირით ადრე გავიკეთე ცხვირის ოპერაცია. მეგობარმა ექიმმა ბიძინა ფაჯიშვილმა ჯერ მაგრად "მაწამა" და მერე მითხრა: "სრული აღდგენისათვის 2 თვეა საჭირო, სითბოში, გაციების გარეშე!" - ორ კვირაში 6400-7000-ზე ვიქნები-მეთქი, დავამშვიდე.

სპონსორებმა დროშები აეროპორტში დამაწიეს. საპატრიარქოდანაც მომიტანეს ხუთჯვრიანი დროშა, ოღონდ ძალიან-ძალიან დიდი. ტამპონებიც ცხვირიდან, თითქმის, აეროპორტში ამოვიღე. დაუჯერებელია, მაგრამ თვითმფრინავსაც მივუსწარი, ბილეთ-პასპორტიც თანა მაქვს. ბარგი მაქვს ცოტა ზედმეტი - ზედ ჩავიცმევ-მეთქი ყველაფერს, მაგრამ გაახარებს ღმერთი ავიაკომპანიის წარმომადგენლებს! - გამიშვეს.

მოსკოვის აეროპორტში, ჩვეულებრივ, ბოლომდე მაყურყუტეს, გამჩხრიკეს, ყველა ამპულა, ყველა რკინის ნაჭერი შეამოწმეს და ასე ჩავბარდი ჩემს მასპინძელს - ლოვა სარქისოვს.

ორი დღე მოსკოვში - საბოლოო კონტრაქტი, დაზღვევა, ვიზები, აღჭურვილობის შევსება, შეხვედრები მეგობრებთან. ლოვას გარეშე, ჩემი სიფათით, მოსკოვში მაგრად გამიჭირდებოდა.

1 აპრილს, დილას შერემეტიევოს აეროპორტში შეიკრიბა "ალპინდუსტრიის სათავგადასავლო გუნდი". მალევე ვარკვევ სიტუაციას და გუნდს, ჩემთვის, ვარქმევ - "старый грузин, среди новых русских". მე და სერგეი ლარინი დელიში 18 საათი აეროპორტში ვჩერდებით. იგი - სიმთვრალის გამო, მე კიდევ – უვიზობის. დანარჩენები 45-გრადუსიან სიცხეში 300 კილომეტრში მდებარე ტაჯმაჰალის დასათვალიერებლად მიდიან. აეროპორტში ცოცხლად შეგვჭამეს ბუზებმა, მთვრალი ლარინი და ფხიზელი გუჯაბიძეც.

ბოლოს და ბოლოს - მშობლიური კატმანდუ, ისევ ძველი სასტუმრო "გაური-შანკარი". დრო ძალიან ცოტა გვაქვს. უმეტესობა კატმანდუში პირველადაა. "ძველები" ვინიშნებით 2-3-კაციანი ჯგუფის ხელმძღვანელებად. მე პროდუქტი დამავალეს, ყველაზე სახლაფორთო საქმე, სარბენი მთელ კატმანდუში, თითქმის - უმადური და დაუფასებელი. 12 კაცს საჭმელი ერთნაირად ვერ მოეწონება, ყოველთვის შეიძლება პრეტენზიის გამოთქმა. წინასწარ ვაფრთხილებ: "я человек нервный!" ვინც არ მიცნობს, შეშინებული მიყურებს.

გავდივართ საშოვარზე. ბაზარი, სუპერმარკეტები, მაღაზიები, ტურისტული ფირმები, საწყობები. კატმანდუში უკვე ცხელა. მთამსვლელები ძალიან ცოტანი არიან, ძირითადად, ნეპალელ ნაცნობებს და ადგილობრივ რუსებს ვხვდები. ხალხი მეფის ოჯახის ტრაგედიის შემდეგ ძალიან დადარდიანებულად გამოიყურება. ისე გულიანად ველარ იცინიან, დამფრთხალნი არიან. ხუმრობა ხომ არ არის, ერთ დღეში 48 კაცი და ქალი ჩაცხრილეს, როცა მთელი ოჯახი ერთად იყო შეკრებილი. მათ შორის 7 თვის ბავშვი ჩაკლეს ლოგინში. არ უყვართ ახალი მეფე (ძველის ძმა), მაგრამ კატმანდუ ავსებულია ჯარისკაცებით, პოლიციელებით, ტანკებით. ფული უკვე ახალი მეფის სურათით გამოდის. ასე რომ, "შიში შეიქმს სიყვარულს", შიში ჩატარებული და მოსალოდნელი რეპრესიებისა, ფიზიკური ანგარიშსწორებისა. აქაური ციხის თვითმხილველები აღგვიწერენ ვიწრო ღრმა ჭებს, რომელიც თანდათან ღრმავდება. პატიმარს კვირაში ერთხელ ზემოდან თოკით ვედროს და ნიჩაბს აწვდიან, თავისი ნარჩენების, ტუალეტის და სველი მიწის ამოსაწმენდად, ასე მიიწევენ დედამიწის გულისკენ - ზემოდან ბამბუკის ლობეზე დიდი ლოდებით და ცის პატარა ნაჭრით.

საღამოს ვიკრიბებით სასტუმროს ჰოლში, ექსპედიციის ხელმძღვანელს დავალებების შესრულების შესახებ ანგარიშს ვაბარებთ. ყველაზე კარგად ლარინის და პაშკოვის საქმე მიდის. სერგეი ლარინს ექიმობა ევალება. სამი წლის წინანდელი ექსპედიციიდან დარჩენილი ერთი კასრი მედიკამენტები აღმოაჩინა საწყობში, ამას დაუმატა 3 ყუთი არაყი, ერთი ყუთი ვისკი, ლუდის ყიდვა ჩინეთისთვის გადადო.

ძალიან უჭირს ცარეევს, მას გენერატორი, ელექტროგაყვანილობა და საწვავი აბარია. აქამდე, მე მგონი, არც იცოდა გენერატორის არსებობა, თან ინგლისურად ერთი სიტყვა არ იცის. გენერატორისა ყველაზე კარგად ქართველებმა ვიცით-მეთქი, მაგრამ ჩემი პოზიცია ისევ პროდუქტია. სოიფერს, მასკალიოვს და ლიტინსკის სამეურნეო საქონელი (თოკები, კასრები, ცელოფანი, ინსტრუმენტები და სხვ.) ევალებათ. დაძაბულნი ვმუშაობთ, თუმცა ვიცით, რომ რაღაცრაღაცები მაინც დაგვრჩება. დაგვრჩა, მაგალითად, კბილის საჩიჩქნი ჩხირები, ასანთი კი პარაფინში დასველებული ქაღალდითაა გაკეთებული. ვერ გავარკვიეთ, საჩიჩქნი სამზარეულოს ეკუთვნოდა, მედიცინას თუ სამეურნეოს. ასე რომ, მთელი ექსპედიციის განმავლობაში თითო ღერში ნახევარ რუსეთს ვიძლეოდი. ბიჭებს სხვა ექსპედიციებიდან მოჰქონდათ ხოლმე და მეც დაუნანებლად ვუნაწილებდი ნახევარ-ნახევარ რუსეთს.

**6 აპრილი.** დილას ადრიანად გავდივართ, 6 საათისთვის ჩინეთის საზღვარი იკეტება, გადასვლა უნდა მოვასწროთ. გზა კატმანდუდან ჩინეთის საზღვრამდე, ჯანგმუმდე ბევრჯერ იცვლება. ჯერ ბრინჯის ყანები, ტროპიკები და ჯუნგლები, მერე კი ვიწრო ხეობა - თუშეთის, სვანეთის გზა. ნეპალის საზღვარს ფეხით უპრობლემოდ გავდივართ; ყადორის ხიდზე, ზედ შუაზე, ფართე ხაზი ანუ საზღვარია. ჩვენს ტვირთს მებარგულები საზღვარს იქით ეზიდებიან, მერე სირბილით უკან ბრუნდებიან, რომ რაც შეიძლება მეტი გზა მოასწრონ.

ხიდის ბოლოში დიდი ტრიუმფალური თაღია, წითელი დროშებით. ქვემოთ, შლაგბაუმთან, ტუმბოებზე სმენაზე გაჭიმული ყვითელსახიანი, ხასხასა მწვანე ტანსაცმლიანი ჩინელი მესაზღვრეები, თეთრი ხელთათმანებით, ნამდვილად სათამაშოებს გვანან. ფოტო-ვიდეო გადაღებებს ვცდილობთ. ყადორში აპარატურა კინაღამ გადაგვიყარეს.

დაგვადგა საშველი, ჩინეთში შეგვიშვეს. გავძვერით თაღქვეშ და ორ მეტრში გაუბედურებული გზა, ტალახი, ჭუჭყი, ნაგავი, "ბუდკები", ვალუტის გადამხურდავებელი ქალები, პროსტიტუტკები, მათხოვრები... ყველანი წვრილთვალებიანი არიან, თორემ დანარჩენი ახლობელია და ნაცნობი. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ტიბეტში!

გზა დიდი სერპანტინებით ზემოთ, ვიწრო ხეობაში მიიწევს. ქალაქის შესასვლელთან ისევ საპასპორტო, სავიზო და სამედიცინო კონტროლი. ჩინელები ჯერ დიდხანს კითხულობენ ჩემს სახელსა და გვარს, მერე კიდევ უფრო დიდხანს წერენ იეროგლიფებით.

ჯანგმუ მთის ციცაბო, ტყიან ფერდობებზე შეფენილი ქალაქია; უფრო სწორედ, ერთი გრძელი დაკლაკნილი, აღმავალი ქუჩაა, ტერასებად განლაგებული 5-7-სართულიანი სახლებით, ბლომად მაღაზიებით, რესტორნებით, სასტუმროებით. ღამე წითელი ფანრები ინთება. არის რამდენიმე ინტერნეტკაფე, ოღონდ მხოლოდ ჩინური გვერდებია ხელმისაწვდომი.

**7 აპრილი.** ტიბეტის მთამსვლელთა ასოციაციის(ტმა) ჯიპებით ისევ ზემოთ მივიწევთ. ამის შემდეგ მხოლოდ ტმა-ს წარმომადგენლის მეთვალყურეობით შეგვიძლია გადაადგილება, მხოლოდ იმ ტრანსპორტით, რასაც ისინი შემოგვთავაზებენ, ვიცხოვრებთ იმათ სასტუმროებში, საჭმელსაც იმათ რესტორნებში შევჭამთ; "თეთრ" ადამიანს არ შეუძლია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და თვითონ მიხედოს თავის თავს. რას იზამ, ყველგან წითელი დროშები ფრიალებს, ყველგან ჩინელი ბელადების სურათებია, ბავშვების სახელმძღვანელოებში კი - თვალებმოჭუტული ლენინი.

საბაზო ბანაკამდე 3 დღე გვჭირდება. ტიბეტის ზეგანი, ნახევრად უდაბნო, უფერული მთები, უღელტეხილები, ბორცვები, დამშრალი მდინარეების კალაპოტები, სოფლები - ალიზით შელესილი, კაშკაშა ფერებით შეღებილი, ბანიანი სახლები, ფერადი დროშებით და სახურავზე ხმელი შეშით, შარაგზაზე დაყრილი ტილიანი, მტვრიანი, გაზუნტლული, ჭუჭყისაგან, ქონისაგან აპრიალებული ტიბეტელები, დიდები და პატარები, კაცები და ქალები, დედა-ბუდიანად მათხოვრები - ფული, ფანქარი, სიგარეტი, კოკა-კოლას ცარიელი ქილა...

ღამეს ვათევთ ნიალამაში (3700 მ.), შიგარში (4200 მ.), ბიზნესი მხოლოდ ჩინელების ხელშია, ტიბეტელებს ბინძური ფონის შექმნის ნება აქვთ. სასტუმროები, რესტორნები, ბზრიალა, მრგვალი მაგიდები, მოხარშული კიტრები, წიწაკები, ბალახები და ბლომად ბრინჯი, ზოგი უმარილო, ზოგიც ძალიან წიწაკიან-მარილიანი, ხორცის ნამცეცებით.

**10 აპრილი.** საბაზო ბანაკი (5300 მ.), მყინვარის შუბლის მორენა, უზარმაზარი რიყე. აქ 30-მდე ექსპედიციაა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ჩინელების, კორეელების და ამერიკელების ექსპედიციებია, ჩვენს მეზობლადაა სანკტ-პეტერბურგი.

აქამდე ჯიპებით მოვედით, ამიტომაც ძნელია აკლიმატიზაცია, სკდება თავი. ვარწყევთ ფარულად და მალულადაც. რამდენიმე დღე საბაზო ბანაკში მთვარეულებივით დავბოდიალობთ, ვუძლებთ სიმაღლეს, ვდგამთ ჯერ საცხოვრებელ კარვებს, მერე სამზარეულოს, სასადილოს, საწყობს, საშხაპეს. დავდივართ სტუმრად, ვმასპინძლობთ. ყველა კმაყოფილია სიმბოლური სასაფლაოს ნახვით - ვიცით მაინც, სად მიაკრავენ ჩვენს მემორიალურ დაფებს.

რონგბუკის მონასტრიდან ბანაკის საკურთხებლად ლამა ამოდის. შერპები დღესასწაულისათვის ემზადებიან. ჩვენს გუნდში, ძირითადად, ურწმუნოები არიან, ან სიმბოლურად მართლმადიდებლები და, ალბათ, იუდეველებიც. მარტო მე და სერგეევი ვრჩებით გარეშე მაყურებლად ეკუმენისტური ლოცვისა.

**13 აპრილი.** გავდივართ ზემოთ, უკვე შეკრულია ბარგი, პროდუქტი, აღჭურვილობა, საწვავი, სამზარეულო. დილას იაკების 65-სულიანმა ჯოგმა, მწყემსებიანად, გადათელა ჩვენი ბანაკი. კარვებიდან გამოძრომა ძლივს მოვასწარით. ჯერ ცივა, მზე არ მოგვდგომია. ტიბეტელები წონიან და ინაწილებენ ბარგს, მცირე, მაგრამ ხმაურიანი კონფლიქტებით. თითო იაკზე 80 კგ. მოდის, ექსპედიციის საერთო ბარგი 5 ტონაზე მეტია.

მაინცდამაინც კარგად ვერავინ გრძნობს თავს, განსაკუთრებით მე მიჭირს, ვერ ვსუნთქავ, ღამე ვხროტინებ, ვიხრჩობი, არ მძინავს. ცხვირის საწმენდად ღამეში ერთ რულონ ტუალეტის ქაღალდს ვხარჯავ, ამტკივდა მუხლები, გამიცივდა კისრის კუნთი, მანქანის კარებში მოყოლილ თითზე ჯერ კიდევ არ ამძრობია ფრჩხილი. დაზიანებულია ნერვები, თითქმის, გამუდმებით მეყინება.

გზა მოწინავე საბაზო ბანაკამდე გრძელი და დაუსრულებელია. პირველი გასვლისას, სადღაც 5900 მეტრზე, შუაში ვათევთ იაკებთან ერთად, მაგრამ მერე, ექსპედიციის დროს ბევრჯერ გვიწევს ზემოთ-ქვემოთ სიარული. ყოველი გადასვლის შემდეგ ბათინკებს ვაკერებ, ვაწებებ, როგორმე სეზონის ბოლომდე უნდა გავაძლებინო.

ძირითადად, მორენაზე ვმოძრაობთ. ხშირად გადავდივართ მდინარეებზე, თოვლის ხიდებზე, მყინვარზე, გზად ბევრი ამსვლელ-ჩამსვლელი ნაცნობი გვხვდება. შემდეგში, აკლიმატიზაციის მერე ამ გზას 7-9 საათში გავდივართ, 20 კილომეტრზე მეტია. ახლა კი 2 დღე გვჭირდება. გასავათებულები ავდივართ 6400 მეტრზე, ბანაკში, სადაც, თითქმის, ორ თვემდე უნდა ვიცხოვროთ. ისევ ბანაკის მოწყობა. ნელ-ნელა, სვენებით, კვნესაკრუსუნით, ტკივილებით, ნუთუ შევეჩვევით და აქ, ამ სიმაღლეზე დასასვენებლად ჩამოვალთ?

ფასანგი, მზარეული, ჩემი ძველი ნაცნობია, ლჰოცზეზე ჩვენი მზარეული იყო. რამდენიმე სეზონი ევერესტზე მეზობელი რუსების ექსპედიციებშიც მუშაობდა. ჩვენი გემოვნება იცის, კარგად ამზადებს. ლჰოცზეს ექსპედიციის დროს დიდი ქვაბით კომპოტი შევუკვეთეთ, ჩირით, შაქრით და შემდეგ მყინვარის წყალში ჩაციებული, კარგად ავუხსენით. ზემოდან დასიცხულ-გამომშრალები მივვარდით 20-ლიტრიან ქვაბს, მხოლოდ მოხარშული ჩირი ეყარა ძირზე, წვენი? - რა წვენი? მოვხარშე და გადავღვარეო. ეს ადრე, ახლა ბევრი რამე ისწავლა, ბორშსაც აკეთებს და კარტოფილიან ღვეზელებსაც. მეორე მზარეული გიალჯენია. ვუახლოვდებით და ვუმეგობრდებით ჩვენს შერპებსაც - ჯანგბუ, დორჯე და ცულდიმი, ყველანი ქჰუმბუდან არიან, გარეგნულად მაინცდამაინც მაგრებად ვერ გამოიყურებიან. რუსებს არასდროს გამოსდიოდათ შერპებთან ურთიერთობა, სამაგიეროდ, ჩვენ ყოველთვის - პირიქით. მომიწევს ხოლმე რუსების საქციელის განეიტრალება.

ბანაკის გაშლის შემდეგ ვკიდებ ჩემს დროშებს, აბრამოვმაც მოინდომა ჩემს თოკზე თავისი დროშების - მოსკოვის და სპონსორების - დაკიდება. მე ნებას ვრთავ, ოღონდ ჩემებს ქვემოთ. არა უშავს, ლუჟკოვი რამენაირად გადაიტანს-მეთქი.

იმდენად ცუდად ვგრძნობ თავს, რომ რამდენიმე დღე, განსაკუთრებით ღამე, სერიოზულად ვფიქრობ სახლში დაბრუნებაზე. ჩემი კარვიდან სასადილომდე 30-40 მეტრი დაღმართია, ჩასვლაზე ერთხელ ვისვენებ, ამოსვლაზე - სამჯერ, არც სხვები არიან მაინცდამაინც კარგად.

**17 აპრილი.** გვეშველა, ზემოთ გავდივართ, 7000-ზე. პირველი ბანაკი უნდა დავდგათ, ალბათ, დავიხოცებით. სამაგიეროდ ქვემოთ რომ ჩამოვალთ, მოგვეშვება. ნამდვილი მაზოხისტები. ცივა, თოვს ხოლმე, უბერავს, როგორც დიდ დიღომში, ჰოდა ამ მაზოხისტებს ზედ გვაცვია ყველაფერი, თუკი რამ თბილი გვაქვს, ზურგჩანთაც 10-15 კგ-ს იწონის. მარშრუტზე ხალხი ბევრია, ძირითადად შერპები, თოკები ორ რიგად ჰკიდია, ამსვლელ-ჩამომსვლელებისთვის. გზა უინტერესოა. ჯერ მყინვარზე, თითქმის ჰორიზონტალურზე, მერე საკმაო დახრილობის ყინულვარდნილზე, ოღონდ ძალიან ერთფეროვანზე, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, რწყევა-ფურთხებით, ლანძღვა-გინებით, სვენებ-სვენებით ვაღწევთ ჩრდილო უნაგირაზე, 7000 მეტრზე. ადგილი ცოტაა, კარვები - ბევრი. საკარვეების გაჭრაზე მეხმარებიან პუშკარიოვი და აბრამოვი, მერე ცარეევი და სერგეევიც შემოგვიერთდნენ.

ღამე მშვიდობიანად გადავიტანეთ. ახლა რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება ქვემოთ, მაგრამ სერგეევი ძალიან ბებერია, 67 წლის, და თან თოკების გაგებაში არ არის. ვეხმარებით თოკებზე, მყინვარზე, უსაფრთხო ადგილას კი ვტოვებთ. მანამდეც, მერეც ბევრჯერ შეგვიქმნა პრობლემები თავისი ნელი სიარულით, სიჯიუტით და უცოდინრობით. პეტერბურგელების ექიმი დიმა ამტკიცებს, გაქანებული სკლეროზი აქვსო. აი, კიდევ ერთი საბუთი - ნამდვილად არ ღირს დაბერება.

**18 აპრილი.** EBC (6400 მეტრი, მოწინავე საბაზო ბანაკი). მეორე დღეს, 19 აპრილს, BC (5300, საბაზო ბანაკი). აქაც შეუძლებელია დასვენება, იგივე სიმძლავრის ქარი და მტვერი, ყველგან და ყველაფერში: კარავში, საძილეში, სასმელში, საჭმელში, მედიკამენტებში. ფაქტობრივად, მუდმივად, "ბეტონომეშალკასავით" ვახრაშუნებთ კბილებში.

ლიტინსკი ერთი თვალით დაბრმავდა, მეორეშიც დიდი სისხლჩაქცევები აქვს. თითქმის ვერაფერს ხედავს. პასპორტიც დაკარგა. საჭიროა სასწრაფოდ ქვემოთ დაშვება, კატმანდუსაკენ და მერე - მოსკოვი. ექსპედიციაში 3 თანამგზავრული ტელეფონია, 5 კომპიუტერი, საქმეში ერთვება რუსეთის საელჩოები ნეპალში და ჩინეთში, სადაზღვევო კომპანია. ჩინელები ნეიტრალურ ზონაში გაყვანისათვის არაოფიციალურად 1000 დოლარს ითხოვენ. ბოლოს 800-ზე თანხმდებიან.

EBC-ში და BC-შიც დასვენება შეუძლებელია. მუდმივი ქარებია. მტვრის ბუღი დგას. კარავში ცხელა, გარეთ ცივა. ვიცმევთ, ვიხდით, სულ დაძაბულები ვართ. ადვილია გაციება. უკვე დაიწყო სასიმაღლო მშრალი ხველება, ცხვირით, თითქმის, ვერ ვსუნთქავ, მტკივა ყელი. ღამე EBC-ში ტემპერატურა -15-20 გრადუსამდე ეცემა. ღამ-ღამობით სრული სასიმაღლო ეკიპირებით ვსხედვართ, ბუმბულის ტანსაცმელში და სასიმაღლო ბათინკებში ჩაცმულები. ხელთათმანებით ვთამაშობთ ჭადრაკს, პრეფერანსს, ვსვამთ უგემურ ყავას, ჩაის, რომელიც თერმოსიდან დასხმისთანავე ცივდება და ვსაუბრობთ, მოსასმენი ბევრია და საინტერესო. ელაგინი გვაბოლებს თავისი მონაწილეობით პარიზ-დაკარში, ან კიდევ ავსტრალიის დიდი დიაგონალის ექსპედიციით, ჩრდილოყინულოვანი ოკეანის ნაპირებზე ყველგანმავალით მოგზაურობით, ურალიდან ჩუკოტკამდე, იახტით ბალტიისა და ატლანტიკის ოკეანეში... პაშკოვი თავის მონადირულ ისტორიებს უბერავს აფრიკაში - სპილოები, მარტორქები, კამეჩები, ლომები... აბრამოვი მალაზიის ჯუნგლებზე და კაციჭამიებზე. პეტერბურგელი ექიმი დიმა კი ხანგრძლივად მუშაობდა ციმბირში ექიმად - ოქროს საბადოებზე, შემოფრენილი აქვს მთელი ციმბირი - ზონები, პატიმრები, სტარატელები, ჩუქჩები... მარტო ლარინი ჰყვება თავის გაუთავებელ ისტორიებს ქალებზე და სასმელზე. ხშირად ვკამათობთ, მაგრამ ქართულ ექსპედიციებთან შედარებით - ხმადაბლა.

**24 აპრილი.** ისევ ზემოთ, მეორე სააკლიმატიზაციო გასვლა, EBC (მოწინავე საბაზო ბანაკი 6400 მ.). უსაშველოდ გრძელი, მაგრამ უკვე ნაცნობი. ხვალ წითელი პარასკევია, მძიმე დღე კაცობრიობისათვის!



"საპატრიარქოდანაც მომიტანეს ხუთჯვრიანი დროშა. ოღონდ ძალიან-ძალიან დიდი."



"ბანაკის საკურთხებლად ლამა ამოდის."



"ტიბეტელები წონიან და ინაწილებენ ბარგს. მცირე, მაგრამ ხმაურიანი კონფლიქტებით. თითო იაკზე 80 კგ. მოდის."



"გასავათებულები ავდივართ 6400 მეტრზე. ბანაკში, სადაც თითქმის ორ თვემდე უნდა ვიცხოვროთ."



ევერესტი

## ორი სიტყვით

**ფეხბურთი.** იტალიური "რომა" კვლავაც ეძებს გზებს მარკო დელვეკიოს გასაყიდად. კლუბის პრეზიდენტს, მის ნაცვლად, ჯერჯერობით უცნობი ფრანგი ფორვარდის ყიდვა სურს, მაგრამ საამისოდ თანხა არ ჰყოფნის. დელვეკიოს გაყიდვაც სწორედ ამიტომაა საჭირო, თუმცა ვეტერანი თავდამსხმელის ყიდვის მსურველი კლუბის მოძებნა დღემდე ვერ მოხერხდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ამსტერდამის "აიაქსმა" მიიღო "მანჩესტერ იუნაიტედის" წინადადება 6 მილიონ გირვანქად ტუნისელი მცველის, ჰატემ ტრაბელსის გაყიდვის თაობაზე. ინგლისის ჩემპიონს ფეხბურთელის ყიდვა ადრეც სურდა, მაგრამ მხარეები თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. ახლა კი, როგორც ჩანს, ყველაფერი მოგვარდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩინურ ტურნეზე მყოფმა მადრიდის "რეალმა" ამ ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებისგან შეკრებილ ნაკრებს ამხანაგურ მატჩში 4:0 სძლია. ჩინელთა რბევა ლუიშ ფიგუმ დაიწყო, ფერნანდო მორიენტესმა გააგრძელა და ხავიერ პორტილიომ დაასრულა. ახალი მწვრთნელის კარლოს კეიროშის თავკაცობით, ეს სამეფო კლუბის პირველი მატჩი იყო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნჰენის "ბაიერნმა" როი მაკაისთან პირადი კონტრაქტის ყველა დეტალი გაარკვია. ამრიგად, ჰოლანდიელ ფორვარდს გერმანიაში გადაბარგებაში ხელს არაფერი უშლის. მის ამჟამინდელ კლუბთან, "დეპორტივოსთან" გერმანელები ადრევე იყვნენ შეთანხმებულნი, გასარკვევი მხოლოდ ფეხბურთელისა და კლუბის კონტრაქტის დეტალები იყო. "გადაწყვეტილია, რომ მაკაი ჩვენთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ჩვენ უკვე გავუგზავნეთ ყველა საჭირო დოკუმენტი "დეპორტივოს". ახლა მხოლოდ ესპანელთა ხელისმოწერა დარჩა და მაკაი ჩვენი გახდება", - განაცხადა "ბაიერნის" კომერციულმა დირექტორმა ული ჰიონესმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არგენტინელი თავდამსხმელი ხუან ესნაიდერი მცირე შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ესპანეთის პრიმერა დივიზიონს. ესნაიდერი, რომელიც გასულ სეზონში "აიაჩოს" ღირსებას იცავდა, მომავალ სეზონში "მურსიას" შემადგენლობაში ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** არგენტინელი თავდამსხმელის კლაუდიო ლოპესის ამა თუ იმ კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით გავრცელებულ ჭორებს გუშინ ბოლო მოეღო. ფეხბურთელის აგენტის განცხადებით მოლაპარაკება ფეხბურთელსა და მის ამჟამინდელ კლუბს, "ლაციოს" შორის წარმატებით დასრულდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლოპესი მომავლ სეზონსაც რომაელთა შემადგენლობაში გაატარებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მეკარე, ედ დე გუი ინგლისის პირველი დივიზიონის "სტოკ სიტიში" გადავიდა. 36 წლის მეკარემ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამ ხნის განმავლობაში 1,2 მილიონ გირვანქას მიიღებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ორმაგი, არგენტინულ-იტალიური მოქალაქეობის მქონე მცველი, ლუჩანო ზავანო ახლო მომავალში, შესაძლოა, მოსკოვის "სპარტაკში" გადავიდეს. ფეხბურთელი ამჟამად მოსკოვშია, სადაც სამედიცინო შემოწმებას გადის და კლუბთან პირადი კონტრაქტის დეტალებს აგვარებს. "სპარტაკი" უკვე მოელაპარაკა ფეხბურთელის გადასვლის შესახებ მის ამჟამინდელ კლუბს, "დერბი ქაუნთის". ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ზავანო გიორგი ქინქლაძის თანაგუნდელი იყო.

■ ■ ■

**რაგბი.** სამი ერის გათამაშების მორიგ მატჩში ავსტრალიის ნაკრებმა რევანში აიღო ორი კვირის წინანდელი მარცხისთვის და შინ, ბრისბენში ანგარიშით 29:9 დაამარცხა სამხრეთ აფრიკის ეროვნული გუნდი.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ამერიკელ ჩოგბურთელს, სერენა უილიამსს გუშინ მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. ამის გამო, მსოფლიოს პირველი ჩოგანი მონაწილეობას ვერ მიიღებს ამერიკის ღია პირველობაზე. უილიამსის მკურნალი ექიმის თქმით, სერენას სრულად გამოსაჯანმრთელებლად, დაახლოებით, 6-8 კვირა დასჭირდება.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** მომავალ წელს ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ორი თვით ადრე საბერძნეთი თავის ტერიტორიაზე შენგენის ვიზის მფლობელებს აღარ შეუშვებს. გადაწყვეტილება ამის შესახებ გუშინ მიიღო ქვეყნის მთავრობამ. ეს სპორტსმენთა და გულშემატკივართა უსაფრთხოების მიზნით გაკეთდა. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ეს საშუალებას მისცემს მათ ინფორმაცია ჰქონდეთ ქვეყანაში შემოსული, თითქმის, ყველა პიროვნების შესახებ. ამასთანავე, ეს ხელს შეუშლის ტერორისტებს და უკანონო ემიგრანტებს, საბერძნეთში მოხვდნენ.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** გუშინ, საღამოს პეკინში 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ემბლემის ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართა. ემბლემის წარდგენის შემდეგ დაიწყება შოუ, რომელშიც, დაახლოებით, 1000 მსახიობი მიიღებს მონაწილეობას.

ფეხბურთი

# „ტირანას" აჩრდილი „დინამოს" თამაშებზე

მიხეილ აბაიშვილი

*2 აგვისტოს საქართველოს ჩემპიონატის მე-2 ტური დაიწყო, რომელიც ორი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა - თბილისში ჩემი კოლეგების მიერ ადგილობრივ "სუპერკლასიკოდ" მონათლული "დინამო" - "ტორპედოს" დაპირისპირება და ბოლნისში უეფას თასისთვის რეკონსტრუირებული სტადიონის გახსნა. ბოლნისში საფეხბურთო ზეიმს ხელი ვერაფერმა შეუშალა, დედაქალაქში გამართული ტურის პირველი ეტაპის და, გნებავთ, მთელი ჩემპიონატის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩს კი ისევ "ტირანას" აჩრდილი დასტრიალებდა.*

**დინამო - ტორპედო 3:0 (1:0)**
**დინამო:** *ზოიძე, და როჩა (სამხარაძე 80`), კანდელაკი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია (სახვაძე 85`), ბურდული, მელქაძე (იაშვილი 72`), ახალაია*
**ტორპედო:** *სტურუა, ჭელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე (ყიფიანი 46`), გამეზარდაშვილი, ახალკაცი, პოროშინი (ქუთათელაძე 46`), მუშკუდიანი (კვერნაძე 64`)*
**გოლები:** *1:0 ამისულაშვილი 18`, 2:0 ახალაია 63`, 3:0 ახალაია 70`*
**გაფრთხილება:** *ბურდული*
**მსაჯი:** *მერაბ მალაღურაძე*

მიუხედავად იმისა, რომ "დინამომ" შარშან სწორედ "ტორპედოს" აართვა ჩემპიონის ტიტული, საქმე მაინც სარევანშოდ ჰქონდა: წინა სეზონის გადამწყვეტ, მეორე ეტაპზე იმ მომენტისთვის ჯერ კიდევ მოქმედმა ჩემპიონმა "დინამო" ორჯერ დაამარცხა. განსაკუთრებით მტკივნეული იყო მარცხი თბილისში, რომელიც ქუთათურებმა 2:0 მოიგეს და ეს ორივე გოლი თბილისელებს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, ზურაბ იონანიძემ გაუტანა. წელს "ტორპედო" გაცილებით დასუსტებულია და აღარც იონანიძე ჰყავს. ამის საპირისპიროდ, "დინამომ" გაცილებით უკეთესი სატრანსფერო მუშაობა გაწია (ყველაფერი შედარებითია, თორემ ამ მუშაობამ რა ხეირიც მოუტანა ჩვენს ჩემპიონს "ტირანასთან" ორრაუნდიან დაპირისპირებაში, კარგად იცით). ამიტომაც, თამაში, რომლის პრეისტორიაც ("დინამოს" საჩემპიონთალიგო ფიასკოთი გულგატეხილობა) კანტიკუნტად მოსულ მაყურებელს დაძაბულ და უშეღავათო ბრძოლას ჰპირდებოდა, ასეთი სულაც არ გამოდგა.


ლევან მელქაძე "დინამოს" მორიგი შეტევისას.

პირველი ტაიმის სადებიუტო წუთებიდანვე უპირატესობა მასპინძლებმა იგდეს ხელთ და ქუთაისელთა მეკარეს, ზვიად სტურუას, რომელიც ამ დღეს მართლაც შეუდარებელი იყო და, მისი გუნდის დიდი ანგარიშით დამარცხების მიუხედავად, ორივე გუნდიდან საუკეთესო გახლდათ, უდიდესი ჯაფა დაადგა. შორს წაგვიყვანს იმ ეპიზოდების აღწერა, როდესაც ამ მეკარემ მართლაც, ეგრეთ წოდებული, "მკვდარი" ბურთები მოიგერია, მაგრამ მისი ეს თავგანწირვა სრულიად ფუჭი აღმოჩნდა, რადგან დანარჩენმა გუნდმა, განსაკუთრებით კი, დაცვის ხაზმა, მხარი არ აუბა. მე-18 წუთზე დარასელიას მიერ კუთხურიდან ახლო ძელთან ჩამოწოდებული ბურთი მელქაძემ თავით საპირისპირო ძელთან გადაგზავნა, გოგობერიშვილმა საჯარიმოს ცენტრალურ ნაწილში დააბრუნა, ხოლო ამისულაშვილმა თავით კარში გადაგზავნა. ამ ოთხსვლიან კომბინაციას საკუთარ საჯარიმო მოედანზე შეკრებილმა, თითქმის, თერთმეტივე ქუთათურმა სტატისტის პოზიციიდან ადევნა თვალი.

არა, ქუთაისელებიც უტევდნენ, საკმაოდ მწვავედაც და არც ზოიძე ყოფილა უსაქმოდ - ერთიორჯერ ძნელი ბურთების მოგერიებით საკუთარი საიმედოობაც დაამტკიცა, მაგრამ ეს უფრო ეპიზოდურ, ქაოტურ სახიათს ატარებდა და უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე გააზრებული სტრატეგიის შედეგი.

"დინამომ" სტუმრების სწორედ ამ ეპიზოდური გამოცოცხლების შემდეგ გაიტანა მეორე გოლი: მარცხენა ფლანგზე კვირკველიას გარღვევის და საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ სტურუასთან პირისპირ, ეულად დარჩენილმა ახალაიამ, როგორც რუსები იტყვიან, თავური დარტყმით პირდაპირ "დახვრიტა" მეკარე.

მესამე გოლიც ახალაიას ანგარიშზეა, რომელიც ქუთაისელი მცველის ჭელიძის კარგი პასის შემდეგ ერთი-ერთზე გავიდა თანაგუნდელების მიერ მიტოვებულ სტურუასთან და ზუსტი დარტყმით დაბალ, მარჯვენა კუთხეში მოათავსა ბურთი.

ივო შუშაკი: "სამწუხაროა, რომ "ტორპედოსთან" ჩვენი შეხვედრა, რომელიც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, ჩემპიონატის სტარტზევე შედგა, რის გამოც, მას სატურნირო ინტრიგა და, შესაბამისად, ინტერესი მოაკლდა.

რაც შეეხება თამაშს, ჩვენ მატჩის წინ გარკვეულ საკადრო პრობლემებს განვიცდიდით. ვერ მოვასწარით ფორმალური საკითხების დარეგულირება, რის გამოც, ბრაზილიელ ტესერს და მოსკოვის "დინამოს" საკუთრებაში მყოფ ხიზანეიშვილს თამაშის საშუალება არ მიეცათ. ამას გარდა, ტრავმებმა შეუშალეს ხელი წერეთელს და ანჩაბაძეს. თუმცა, ჩემი გუნდი კარგად მოემზადა სერიოზულ მეტოქესთან სათამაშოდ, ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვებისაკენ სწრაფვა მეტოქეზე უკეთ გამოავლინა და გასულ სეზონში განცდილი მტკივნეული მარცხებისთვის დამსახურებულად აიღო რევანში."

"დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა კომენტარი გააკეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე უარის თქმასთან დაკავშირებითაც: "ჩემი პოზიცია არაერთხელ დამიფიქსირებია: მზად ვარ, ქართულ ფეხბურთს ვემსახურო. თუმცა, მოგეხსენებათ, კონტრაქტით ამჟამად "დინამოსთან" ვარ დაკავშირებული და ჩემი კლუბის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ერთდროულად ორ ასეთ მნიშვნელოვან პოსტზე ჩემი მუშაობით ორივე საქმე დაზარალდება, რაც სავსებით ლოგიკურია. საქართველოს ნაკრებს, რომლის დიდ პოტენციალში და შესაძლებლობებში თავადვე დავრწმუნდი, დიდ წარმატებებს ვუსურვებ და მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ნდობა გამომიცხადა და ასეთი საპასუხისმგებლო პოსტის ღირსად მიმიჩნია."

**სოსო ფილია:** "სამწუხაროდ, დღეს მეტოქემ თამაშის ყველა კომპონენტში დაგვჯაბნა. მოგეხსენებათ, წინა სეზონის მსვლელობაში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოგვაკლდა, ხოლო სეზონის ბოლოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმაც დაგვტოვა. ადეკვატური შევსება არ მიგვიღია, ამიტომ ამ სეზონში ჩემპიონობაზე პრეტენზიის გამოთქმა ჩვენი მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნება. "ტორპედოს" ხელმძღვანელობამ მიზნად გუნდის გაახალგაზრდავება დაგვისახა. თუმცა, საპრიზო ადგილებისთვის აუცილებლად ვიბრძოლებთ".

| 2 აგვისტო | |
|---|---|
| დინამო – ტორპედო | 3:0 |
| სიონი – მერცხალი | 4:1 |
| ბათუმი - ფოთი | 0:1 |
| ლაზიკა – თბილისი | 0:3 |
| **3 აგვისტო** | |
| დილა - ვიტ ჯორჯია | 3:0 |
| მცხეთა - ლოკომოტივი | 2:1 |

ფორმულა 1

# მონტოიას მშვიდი გამარჯვება

აკა ტონია

ჰოკენჰაიმში გამართული გრან-პრი ფორმულა 1-ის წლევანდელი სეზონის რიგით მე-12 რბოლა გახლდათ. საერთო ჩათვლაში არსებული დაძაბული მდგომარეობა რბოლის სტარტშივე აისახა, როდესაც მას ერთდროულად სამი ლიდერი გამოეთიშა. ჯერ კიდევ პირველ მოსახვევამდე ჩინებული სტარტის შემდეგ ფინელმა კიმი რაიკონენმა Ferrari-ს ბრაზილიელი პილოტის, რუბენს ბარიკელოს გადასწრება სცადა, თუმცა ეს მცდელობა უიღბლოდ დასრულდა: რაიკონენის ბოლიდი ბარიკელოს Ferrari-საც დაეჯახა და გვერდზე მიმავალ რალფ შუმახერის BMW-Williams-საც - სამივე პილოტისათვის რბოლა დაწყებისთანავე, 200 მეტრის გავლის შემდეგ დასრულდა.

სამი წრის მანძილზე ტრასაზე უსაფრთხოების ავტომობილის ფაზა მიმდინარეობდა, რბოლის განახლების შემდეგ კი ლიდერად კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია მოგვევლინა. მონტოიამ რამდენიმე წრე სხვებზე უფრო სწრაფად გაიარა და კონკურენტებს საკმაოდ დიდი მანძლით მოწყდა. მეორე, მესამე და მეოთხე პოზიციებზე შესაბამისი თანმიმდევრობით იმყოფებოდნენ ტრული, ალონსო და მიხაელ შუმახერი. რბოლის თანმიმდევრობაზე დიდ ხანს ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა ვერც საბურავების გამოცვლამ და ვერც საწვავის ჩამატებამ. ყოველი შეჩერების შემდეგ პილოტები უწინდელ პოზიციებს უბრუნდებოდნენ. მონტოია წყნარად მიუყვებოდა თავის გზას, ისევე, როგორც ტრული და ალონსო, მათ უკან მყოფი


ჰოკენჰაიმის გრან-პრი მონტოიამ მშვიდად მოიგო.

მიხაელ შუმახერს კი პოზიციის გაუმჯობესების მცდელობაც არ ჰქონია. ალონსოს მიერ დაშვებული შეცდომით მსოფლიო ჩემპიონმა მაინც ისარგებლა და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ალონსოს დევიდ კულჰარდმაც გადაუსწრო და შუმახერის შევიწროებაც დაიწყო. ყოველივე ეს კი იმით დასრულდა, რომ იანო ტრულიმ თავისი მეორე პოზიცია ვერ შეინარჩუნა, იტალიელ პილოტს ჯერ შუმახერმა, შემდეგ კი კულჰარდმა გადაუსწრეს. მონტოია კვლავინდებურად მშვიდად მიემართებოდა გამარჯვებისაკენ, მის უკან მყოფ შუმახერს კი საბურავი გაუსკდა. იძულებითი პაუზის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა უწინდელ პოზიციაზე დაბრუნება ველარ შეძლო და მეშვიდე ადგილს დასჯერდა. მეორე ადგილზე კულჰარდმა გადაინაცვლა, ხოლო იანო ტრულიმ მესამე საპრიზო ადგილს გამოჰკრა ხელი.

ჰოკენჰაიმის გრან-პრიმ კიდევ უფრო დაძაბა საერთო სატურნირო მდგომარეობა. ლიდერ შუმახერსა და მონტოიას შორის განსხვავება ექვს ქულამდე შემცირდა.

### რბოლის შედეგები

| | |
|---|---|
| 1. ხუან პაბლო მონტოია | 1:28:48,769 |
| 2. დევიდ კულჰარდი | + 1:05,459 |
| 3. იანო ტრული | + 1:09,060 |
| 4. ფერნანდო ალონსო | + 1:09,344 |
| 5. ოლივიე პანი | + 1 წრე |
| 6. კრისტიანო და მატა | + 1 წრე |
| 7. მიხაელ შუმახერი | + 1 წრე |
| 8. ჯენსონ ბატონი | + 1 წრე |
| 9. ჟაკ ვილნევი | + 1 წრე |
| 10. ნიკ ჰაიდფელდი | + 1 წრე |
| 11. მარკ ვებერი | + 3 წრე |
| 12. ნიკოლას კისა | + 4 წრე |
| 13. ჯანკარლო ფიზიკელა | + 7 წრე |

### რბოლას გამოეთიშნენ

| | |
|---|---|
| კიმი რაიკონენი | (პირველ წრეზე) |
| რუბენს ბარიკელო | (პირველ წრეზე) |
| რალფ ფირმანი | (პირველ წრეზე) |
| ჰარალდ ფრენტცენი | (მე-2 წრეზე) |
| რალფ შუმახერი | (მე-2 წრეზე) |
| ჯასტინ უილსონი | (მე-9 წრეზე) |
| იოს ვერსტაპენი | (26-ე წრეზე) |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 71 |
| 2. ხუან პაბლო მონტოია | 65 |
| 3. კიმი რაიკონენი | 62 |
| 4. რალფ შუმახერი | 53 |
| 5. რუბენს ბარიკელო | 49 |
| 6. ფერნანდო ალონსო | 44 |
| 7. დევიდ კულჰარდი | 41 |
| 8. იანო ტრული | 22 |
| 9. ჯენსონ ბატონი | 12 |
| მარკ ვებერი | 12 |
| 11. ჯანკარლო ფიზიკელა | 10 |
| 12. კრისტიანო და მატა | 8 |
| 13. ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი | 7 |
| 14. ოლივიე პანი | 6 |
| 15. ჟაკ ვილნევი | 3 |
| 16. ნიკ ჰაიდფელდი | 2 |
| 17. რალფ ფირმანი | 1 |
| 18. ნიკოლას კისა | 0 |
| ანტონიო პიცონია | 0 |
| იოს ვერსტაპენი | 0 |
| ჯასტინ უილსონი | 0 |

### კონსტრუქტორთა დავა

| | |
|---|---|
| 1. Ferrari | 120 |
| 2. BMW-Williams | 118 |
| 3. McLaren-Mercedes | 103 |
| 4. Renault | 66 |
| 5. BAR-Honda | 15 |
| 6. Toyota | 14 |
| 7. Jaguar | 12 |
| 8. Jordan-Ford | 11 |
| 9. Sauber-Petronas | 9 |
| 10. Minardi F1 Team | 0 |

კრივი

# მოკრივეები თუ ინტელექტუალები?

## კლიჩკო ლუისს საჭადრაკო დაფასთან იწვევს

ბიბა ბურასაშვილი

საკრივო სამყაროში ძალზე ცოტა მოკრივეა ისეთი, რომელიც კარგი მოჩხუბრის სტატუსითაც სარგებლობს და ინტელექტუალადაც იწოდება. ასეთები, მართლაც, გამონაკლისები არიან. ისე, კაცმა რომ თქვას, სპორტსმენს, რომელიც დარბაზში სახტუნაოზე ვარჯიშითა და მსხალთან მუშტების ქნევით საათობით ღვრის ოფლს და შინ გასავათებული მიეშურება, რალა ეწიგნება. მათ თავში მხოლოდ ერთი რამ უტრიალებთ – რაც შეიძლება, მაგრად დაუჟეჟონ თავ-პირი მომავალ მეტოქეს. მაგრამ, ცნობილ მოკრივეებს - უკრაინელი ძმებს, კლიჩკოებს და ბრიტანელ ლენოქს ლუისს უწიგნურობას ვერავინ დასწამებს. გარდა საკრივო ოსტატობისა, ისინი განსწავლულობითაც გამოირჩევიან. აი, მაგალითად, 21 ივნისის ლოს ანჯელესური დაპირისპირების წინ, ვიდრე ბრიტი ლუისი და უკრაინელ ძმათაგან უფროსი, ვიტალი ერთმანეთს შეხვდებოდნენ, კრივის მოყვარულები პროგნოზებთან ერთად მათ ცოდნასაც უსვამდნენ ხაზს. თითოეულ სტატიაში ხაზგასმით აღინიშნებოდა, - ერთიც და მეორეც რინგისთვის ძალიან ჭკვიანები არიანო.

ახლა რა ხდება? მოგეხსენებათ, 6 დეკემბრისთვის ლუისი კლიჩკოს მატჩ-რევანში იგეგმება. თუმცა, ვიდრე მოკრივეები ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ, ძმათაგან უფროსმა ლუისი საჭადრაკო დაფასთან გაიწვია. ვიტალიმ, რომელიც ჭადრაკის დიდი მოტრფიალეა, კერძო უკრაინულ ტელეკომპანია "Новый канал"-თან პირდაპირ ეთერში საუბრისას ბრიტანელთან ძალების მოსინჯვა ჭადრაკშიც ისურვა: "კარგი იდეა უნდა იყოს, საკუთარი ძალები ჯერ ჭადრაკში გამოვცადოთ, შემდეგ კი რინგზეც იგივე გავაკეთოთ".

ისე, უჩვეულო უნდა იყოს, მოწინააღმდეგესთან გონებრივი ჭიდილის შემდეგ რინგზე ასვლა და ერთმანეთის დაუნდობლად ცემა. სხვათა შორის, კლიჩკოს წინადადებაზე ლუისიც ყაბულსაა, - კრივსაც და ჭადრაკსაც ვითამაშებო, - პირობა დაუდევს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეტოქეებს, ფიზიკურ სიძლიერეში შეჯიბრების გარდა, გონებრივი გაპაექრებაც სურთ. უკრაინელებს სჯერათ, რომ კლიჩკოს ლუისთან საჭადრაკო პარტიის მოსაგებად დიდი ძალისხმევა არ დასჭირდება. რაც შეეხება სარინგო პროგნოზებს, ამ შემთხვევაში უკრაინელები, ცოტა არ იყოს, ჭოჭმანობენ.

ნაფიფქი

ნინო I



# ვარსკვლავი დილემის წინაშე: ფული თუ სიყვარული?


იან ულრიხს ოჯახთან ურთიერთობა მოენატრა.

გერმანიაში სპორტული ცხოვრება მკვეთრად გამოცოცხლდა - შაბათს ბუნდესლიგამ აიღო სტარტი, კვირას ჰოკენჰაიმში ფორმულა 1-ის მორიგი რბოლა შედგა. ფეხბურთმაც და ფორმულამაც დიდად ააღელვეს და გაართეს გერმანელები, მაგრამ ველოსპორტის ვარსკვლავი იან ულრიხი მაინც ვერ გადაავიწყეს. არადა, "შალკემ" ყველა გააოცა 20 წლის თურქი ფეხბურთელის, ჰამით ალტინტოპის დებიუტით; მძიმედ დაშავებულმა სებასტიან დაისლერმა, როგორც იქნა, ისე ითამაშა "ბაიერნში", როგორც ამას უკვე დიდი ხანია ელოდნენ; "ჰერტამ" მოულოდნელად ბერლინში წააგო ავსტრიული "პაშინგისგან" დაჩაგრულ ბრემენის "ვერდერთან," ჰოკენჰაიმში კი ძმები შუმახერების მარადიულმა პაექრობამ პიკს მიაღწია. და მაინც, გერმანიაში წუთითაც არ დავიწყებიათ იან ულრიხი - წლევანდელი ტურ დე ფრანსის ველოსიპედზე ამხედრებული რაინდი. იან ულრიხი ჯერ მხოლოდ 29 წლისაა და ისეთ შესანიშნავ ფორმაშია, რომ ყველაფრის მოგება შეუძლია - ესპანური ბუელტასიც, რომელიც სექტემბერში დაიწყება და მსოფლიო ჩემპიონატისაც, რომელიც 7 ოქტომბერს კანადაში აიღებს სტარტს. გულშემატკივრებს და სპონსორებს "ულის" ტრასაზე ხილვა სურთ, თავად სპორტსმენს კი ვერა და ვერ გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს: სახლში დარჩეს თუ კვლავაც ველოსიპედს დაუბრუნდეს...

საქმე ისაა, რომ ქალიშვილის დაბადების შემდეგ იან ულრიხი რადიკალურად შეიცვალა. კარიერა საერთოდ აღარ აინტერესებს, მხოლოდ ბავშვთან უნდა ყოფნა. ტურ დე ფრანსის დაწყების წინ ხმები დადიოდა, - ულრიხი საფრანგეთში არ წავაო, - მაგრამ გერმანელმა წლის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი არ გამოტოვა. შესანიშნავად იასპარეზა, ტურის მთავარ ფავორიტს, ამერიკელ ლანს არმსტრონგს ფიზიკურ გამძლეობაშიც აჯობა და ჯენტლმენობაშიც და, რომ არა ბოლო ეტაპზე მომხდარი უცნაური ინციდენტი, იქნებ მოეგო კიდეც ტური. ასეთი ბრწყინვალე "ქამ ბეკის" შემდეგ იან ულრიხი მეტად პოპულარული გახდა. გერმანიაში ის ისევ გაიხსენეს და კვალავაც გერმანული სპორტის ვარსკვლავთა რიცხვში დააყენეს. ის კი არა, ულრიხის ყოფილმა გუნდმა, "ტელეკომმა", რომელიც გასულ სეზონში დაუნანებლად შეელია დოპინგ-სკანდალში გახვეულ სპორტსმენს, თავისი ექს-ლიდერის დაბრუნება განიზრახა. სპონსორებმაც ისევ იბრუნეს პირი შერისხული ველომრბოლისკენ. ტურის შემდეგ იან ულრიხმა ჰანოევრის რბოლა მოიგო - რა თქმა უნდა, უპრობლემოდ. ქუჩებში უამრავი ადამიანი გამოვიდა და ახალ კერპს ტრიუმფული შეხვედრა მოუწყო. "ული" გულაჩუყებული იყო. "მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ხალხს ძალიან ვუყვარ", - ამბობდა ცრემლმორეული. ჰამბურგში, თითქმის, მილიონამდე გულშემატკივარი ამხნევებდა "ბიანკის" კაპიტანს, ამაზე მეტი კი ტელევიზიით უყურებდა ტურნირს. რომ არა იან ულრიხი, ამდენი ხალხი, ალბათ, არც კი დაინტერესდებოდა ჰამბურგის რბოლით. იან ულრიხი ახლა უსაზღვროდ პოპულარულია და, ამის წყალობით, საუკეთესო სარეკლამო სახეა სხვადასხვა სპონსორისთვის. "ადიდასს" ისევ სურს "ულისთან" კონტრაქტის განახლება, არც სხვები იტყოდნენ უარს "ბიანკის" კაპიტანისთვის მილიონების გადახდაზე, მაგრამ ამისთვის ერთი რამ არის საჭირო: ტურნირებში მონაწილეობა. იან ულრიხს კი დასვენება სურს.

